კორონავირუსის დამარცხებას ხელს უწყობს მკითხველისთვის იმედის მომცემი, სულიერი საზრდოს - მართალი სიტყვის მიწოდებაც!

რადგან მასმედიას და პრესის გავრცელების სამსახურს შეზღუდვები არ ეხება, ჩვენი გაზეთიც საგანგებო ვითარებაში მუშაობას აგრძელებს.

საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდ-ვუნი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გაბმული 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 25 მარტი. 2020 წ. №51 (8977) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდია!

ნინო ბურჯანაძე სტუმრად „პოლიტ-ტაბლოში“ ირაკლი ტაბლიაშვილთან

"კორონა" და "არჩევნები 2020"

4

პოლშევიზმის სინდრომი ნაცმოძრაობაში

9

„სააკაშვილი ახლა გავიდა კრემლის ლიბერალურ ფრთაზე და მიშუსტინის დაჯგუფების მფარველობის ქვეშაა“

მაგთიკომი 3 მილიონ ლარს რიცხავს კორონავირუსის პრევენციისთვის

მაგთიკომის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და მაგთიკომის გუნდის მხარდაჭერით, მაგთიკომი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს StopCoV ფონდში 3 მილიონ ლარს გადარიცხავს.

მაგთიკომის დამფუძნებლების გადაწყვეტილებით და მაგთიკომის გუნდის მხარდაჭერით, მაგთიკომი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია, კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს სამთავრობო ფონდში 3 მილიონ ლარს გადარიცხავს.

MAGTI

პოლიტიკური ფარისევლები

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დღის ქრონიკაში“ ოპონენტების მიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა და უპასუხა მათ კითხვებს, თუ სად არის ბიძინა ივანიშვილი. **„ბიძინა ივანიშვილი ყოველდღიურ კავშირში არის იმ თანამდებობის პირებთან და იმ პოლიტიკურ ლიდერებთან, ვინც ჩართული ვართ კორონავირუსის წინააღმდეგ ძალისხმევის ორგანიზებაში. ის არის ერთ-ერთი ადამიანი, ვინც ყოველდღიურად თავის ყურადღებას და ძალისხმევას ხარჯავს იმისთვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ რაც შეიძლება ნაკლები ზიანით გაიაროს ამ გამოწვევის და ამ პრობლემის საპასუხოდ“,** — განაცხადა თალაკვაძემ.

მისი თქმით, აუცილებლად უნდა გაეცეთ პასუხი იმ ადამიანებს, ვინც სასოწარკვეთილ განცხადებებს აკეთებენ, რომ სად არის ბიძინა ივანიშვილი. **„ასეთ დროს — პირდაპირ გეტყვით — არიან პოლიტიკური ფარისევლები; ეს ზუსტად ის ხალხია, რომელიც ამ წლების განმავლობაში ამბობდა, რატომ არის ბიძინა ივანიშვილი ჩართული პოლიტიკაში და მართვაშიო. ახლა ამბობენ, რატომ არ არის ჩართული მართვაშიო“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

დაავადებათა კონტროლის ცენტრს 10 000 ლარი შესწირეს

ჯვართამაღლების ტაძრის მრევლმა დაავადებათა კონტროლის ცენტრს 10 000 ლარი შესწირა. ამის შესახებ დეკანოზმა თეოდორო გიგნაძემ განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ განსაცდელი კვლავ მძვინვარებს მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, მთელი მსოფლიო, მათ შორის ჩვენი ქვეყანა, ხელისუფლება და, რა თქმა უნდა, ეკლესიაც კვლავ ამ გამოწვევის წინაშე ვდგავართ. ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია, რომ ვითანამშრომლოთ, ამ შემთხვევაში ვსაუბრობ ეკლესიაზე, ხელისუფლებასთან, ჩვენს ხალხთან და ერთგვარად ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა: ერთი მხრივ, ვუერთგულოთ ჩვენს სარწმუნოებას და ჩვენთვის და მთელი ერისთვის ვიყოთ გამტარი ცოცხალი ღმერთის ღვთაებრივი ენერგიებისა, რომელიც არის საკურნებელი და გადამრჩენელი ყოველი ადამიანისა და მთელი ერისა, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანურ სიბრტყეში გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ვითანამშრომლოთ ხელისუფლებასთან, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანებული გამოვიდეს ამ მდგომარეობიდან.

ჩვენ გარკვეული რეგულაციები შემოვიტანეთ ღვთისმსახურებაში, რომელთა შესახებ ადრე განვაცხადეთ და რომელთა განხორციელება უკვე დავიწყეთ. ჩვენც შემოქმედებითად ვუდგებით და გარდა ამისა, მდგომარეობის ცვლილების მიხედვით შემოვიტანთ ახალ-ახალ რეგულაციებს ჩვენს ღვთისმსახურებაში.

ერთ-ერთი, რაც გადავწყვიტეთ, რომ გავაკეთოთ, არის ის, რომ ლიტურღიები ყოველდღეა და ვცდილობთ, რომ გავყოთ ეს მსახურებები (საუბარია ყოველდღიური პირველშეწირული ლიტურღიების დილა-საღამოს აღსრულებაზე). გვაქვს ორი მოქმედი ტაძარი, მსახურებები იქნება დილით და საღამოს, შესაბამისად, მრევლიც გაიყოფა და მათი რაოდენობა იქნება ნაკლები. და იგივე წესით, გარეთ დგომით, თითო-თითოდ, გარეთ, მაგრამ ნაკლები რაოდენობით მიიღებენ წირვაში მონაწილეობას. ეს ეხება ყველა დღეს, მათ შორის კვირასაც“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

„ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ �პᲐᲜᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲠᲝᲚᲘ ᲓᲐ �პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘᲐ.

ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲛᲓ�გᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ. ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲠᲗᲣᲚ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲘᲓᲘ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲐᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲰᲥᲕᲘᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲬᲝᲠ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲡ ᲔᲤᲣᲫᲜᲔᲑᲝᲓᲔᲡ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲓᲘᲓᲬᲘᲚᲐᲓᲐᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ.

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲕᲜᲘᲨᲜᲝᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲓᲘᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲬᲕᲓᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲝᲠᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲐ ᲛᲔᲓᲘᲐᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲝᲡ.

ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲘᲩᲔᲜᲡ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲝᲖᲝᲚᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲓᲐᲜ �გᲐᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ, ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲐᲓ �გᲐᲐᲨᲣᲥᲝᲜ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲓᲐ �გᲐᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲛᲘᲐᲬᲝᲓᲝᲜ. ᲓᲦᲔᲡ ᲕᲘᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲐᲡ ᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲡ“, — წერია კომუნიკაციების კომისიის განცხადებაში.

ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲔᲑᲘ ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲐᲠ�გᲚᲔᲑᲨᲘ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში, მთავრობის მეთაურის პრესსპიკერმა ირაკლი ჩიქოვანმა კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ იმ შეზღუდვებსა და გამონაკლისებზე ისაუბრა, რომლებიც, საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით მოქმედებს.

ირაკლი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ ჩამოთვლილის გარდა, მარნეულისა და ბოლნისის ტერიტორიებზე დამატებითი შეზღუდვებიც არის დაწესებული.

„ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის დასრულებამდე შეჩერებულია ყველა სახის საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლა — საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო; ჩარტერული ფრენები იგეგმება საჭიროებისამებრ და ხელისუფლებასთან შეთანხმებით. ჩერდება სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა, გარდა სატვირთო გადაზიდვებისა. ჩერდება საქალაქთაშორისო სამგზავრო გადაყვანა M2 და M3 კატეგორიის ტრანსპორტით, რაც გულისხმობს სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებს.

ჩერდება შიდა საჰაერო მიმოსვლა მგზავრთა გადაყვანის მიზნით. თვითმმართველი ქალაქის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის საზღვრებში შეჩერებულია შიდა მიმოსვლა: M2 კატეგორიის (სამარშრუტო ტაქსი) ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანა. აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ ცენტრსა და სოფლებს შორის სამგზავრო გადაყვანებზე“, — აღნიშნა ირაკლი ჩიქოვანმა.

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜ დღეს საქართველოში ორი ტიპის რეჟიმი გვაქვს. ერთი რეჟიმი, ეს არის მკაცრი კარანტინი, რომელიც მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ მარნეულის და ბოლნისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე და უფრო მსუბუქი რეჟიმი, რომელიც მოქმედებს საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, — ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა.

ნათია თურნავამ განმარტა, საქართველოში გარდა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტისა, ეკონომიკური საქმიანობა გრძელდება.

„კიდევ ერთხელ მინდა განვმარტო, გარდა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებისა, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე დღესდღეობით, ეკონომიკური საქმიანობა გრძელდება. შეზღუდვა არ ეხება საწარმოებს, მომსახურების სხვადასხვა სფეროს, არ ეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მშენებლობას და ბევრ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას. მთავარია, რომ დავიცვათ ეპიდემიოლოგების მიერ ნაკარნახევი წესები, რაზეც ასევე დეტალური განმარტებები გაკეთდა და დარგობრივ გაიდლაინებსაც ვამზადებთ ამ დღეებში და მივაწვდით სხვადსხვა დარგის საწარმოებსა და ბიზნესასოციაციებს“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

ᲡᲐᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲝ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲣᲝᲕᲗᲘᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ საკარანტინო ზონებში სურსათისა და პირველადი მოხმარების ნივთების დეფიციტი არ შეიქმნება. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან სრულ კოორდინაციაში მუშაობს.

„სურსათის მიწოდების ჯაჭვი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს. არის დამატებითი გაიდლაინები საკარანტინო ზონებთან სურსათის ოპერატორებთან დაკავშირებით. სადაც უსაფრთხოების ზომები კიდევ უფრო გამკაცრებულია. იმისთვის რომ დაავადების გავრცელების პრევენცია მოვახდინოთ“, — ამის შესახებ საკოორდინაციო საბჭოს ეკონომიკური გუნდის შეხვედრის შემდეგ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, საკარანტინო ზონებში პროდუქციის შეტანა ორგანიზებულად მოხდება. **„მძღოლებს ექნებათ სპეციალური ეკიპირება, მანქანები გაირეცხება სპეციალური ხსნარით“,** — აღნიშნა დავითაშვილმა.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ: ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲠᲢᲘᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲗ წᲕᲓᲝᲛᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢᲗᲐᲜ

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ პრესსამსახურის ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კორონავირუსთან დაკავშირებით გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განაცხადა. სხდომაზე აღინიშნა, რომ 30 მარტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში სკოლის მოსწავლეებისთვის გაკვეთილების ტრანსლირება დაიწყება.

„მინდა, მოვუწოდო თითოეულ ინტერნეტპროვაიდერს, რომ გაითვალისწინონ როგორც სტუდენტების, ასევე ჩვენი მოსწავლეების ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მარტივად ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტთან, შესაბამისად, დისტანციურ გაკვეთილებთან. სწორედ ამიტომ იყო ტელევიზია გამოყენებული, იმისთვის, რომ ძალიან კარგად გვესმის, რომ ჯერჯერობით სამწუხაროდ, ჩვენს ყველა მოქალაქეს ინტერნეტთან წვდომა არა აქვს“, — განაცხადა პრემიერმა. მისი თქმით, ეს კიდევ ერთი დამატებითი მიმართულებაა, რომელზეც მთავრობამ უნდა იფიქროს.

„დღევანდელ რეალობაში დისტანციური სწავლა-განათლება შეიძლება, ძალზედ აქტუალური გახდეს ჩვენს ცხოვრებაში“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ

ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ კორონავირუსთან დაკავშირებით გამართულ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განაცხადა.

„მოგეხსენებათ, რომ სასწავლო პროცესი შეჩერებულია. საგანგებო მდგომარეობა გამოცხადებულია 21 აპრილამდე, თუმცა ობიექტურად რომ შევაფასოთ სიტუაცია, შანსი იმისა, რომ აპრილის ბოლოს სასწავლო პროცესი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ არსებობს შანსი, რომ სასწავლო პროცესი ვერ გაგრძელდეს“, — აღნიშნა გახარიამ.

„ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲚᲐ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს პირველი არხი, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ჩართულობით, საგანმანათლებლო პროექტს „ტელესკოლა“ იწყებენ. როგორც განათლების სამინისტროში აცხადებენ, „ტელესკოლა“ საქართველოს მეორე არხის ეთერში 30 მარტიდან გავა. პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ტელეგაკვეთილების ჩატარებას.

„ტელესკოლა“ დისტანციური სწავლების ერთ-ერთი ფორმატი იქნება, რომელიც ყველა მოსწავლეს, განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტთან, საშუალებას მისცემს, ნახოს საინტერესო გაკვეთილები ყველა საგანში. საეთერო ბადე (გაკვეთილების ცხრილი) ყველა კლასის საგანს მოიცავს. „ეროვნული სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ტელეგაკვეთილებს სხვადასხვა საგნის გამოცდილი პედაგოგები ჩაატარებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორიდან და მოსწავლეებს „ტელესკოლის“ ფორმატს მორგებულ სასწავლო პროგრამას შესთავაზებენ.

პროექტი აბიტურიენტის საათის ჩატარებასაც ითვალისწინებს, სადაც შესაბამისი დარგის სპეციალისტები აბიტურიენტებს ეროვნული გამოცდებისთვის გაუწევენ კონსულტაციას. გაკვეთილები ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით ჩატარდება და ყოველდღე დილის ცხრა საათზე დაიწყება. პროექტს შაბათსა და კვირას სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი პროგრამებიც დაემატება. აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში საქართველოს მეორე არხი საგანმანათლებლო პლატფორმად „პირველი არხი — განათლება“ გადაკეთდება, რომელიც სამომავლოდ მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამების თარგმნასა და პროექტის ფარგლებში ჩვენებას უზრუნველყოფს.

„ᲐᲮᲚᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲝᲡ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘᲪ ᲓᲐᲘᲭᲘᲠᲝᲡ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ“

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ 21 Ა�პᲠᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲒᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘ ᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲡ. ᲡᲐ�გᲐᲜ�გᲔᲑᲝ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ �გᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚ �კᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲡ ᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 3 ᲗᲕᲔᲐ, ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ �კᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲗ ᲘᲜᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ 60-Ს ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲓᲐ. ᲙᲐᲠᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘᲐ 1966 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲡᲢᲐᲪᲘᲝᲜᲐᲠᲨᲘ ᲛᲔᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ — 259 �პᲘᲠᲘ.

საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, საზღვრების ჩაკეტვის, ფრენების შეწყვეტის, გარკვეული სავაჭრო ობიექტების, რესტორნების და სასტუმროების დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა საგანგებო რეჟიმში ცხოვრობს, მთავრობის გადაწყვეტილებით, შეზღუდვები არ შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

მთავრობის საპარლამენტო მდივნის **ᲑᲔᲥᲐ ᲓᲝᲭᲕᲘᲠᲘᲡ** განცხადებით, საგანგებო მდგომარეობა შეიძლება გაუქმდეს ვადაზე ადრეც, იმ კონკრეტული ვითარების აღმოფხვრისთანავე, რის გამოც გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა.

კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვები ხელს არ შეუშლის საპარლამენტო არჩევნებს. „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი **ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ** აცხადებს, რომ ჯერ არჩევნების და კამპანიის დრო არ არის.

„დღეს ყველაზე მთავარი გამოწვევა, ესაა კორონავირუსი. ყველა ერთად, ერთიანი კონსოლიდაციით უნდა ებრძოლოს ამ უმძიმეს გამოწვევას. როგორც ხედავთ, ხელისუფლება თანმიმდევრულია და ვდგამთ აუცილებელ ნაბიჯებს პრევენციისთვის. ყოველდღიურად ვაკონტროლებთ სიტუაციას და პულსზე გვიდევს ხელი“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა ზაფხულში სრულად მოგვარდა, ამ შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია საპარლამენტო უმრავლესობის წევრის **ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲘᲡ** განცხადებით, ჩვეულებრივად წარიმართება.

„დიდი იმედი გვაქვს, ასეც იქნება. ყველაფერი დამოკიდებულია როგორც გლობალურ ტენდენციებზე, ასევე იმაზე, თუ როგორ გაგრძელდება საქართველოში ეს პროცესი. დიდი იმედი გვაქვს, ზაფხულისთვის პრობლემა მთლიანად იქნება მოგვარებული.

როგორც კი სრულდება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა, იქიდან 60 დღეში ტარდება არჩევნები. ეს ყველაფერი კონსტიტუციითაა გაწერილი. ვფიქრობთ, აქამდე არ მივა საქმე. წესით, ამ გზით წასვლა არ უნდა დაგვჭირდეს. ალბათ, მსოფლიოსა და საქართველოში არსებობს რესურსი, რომ ზაფხულისთვის პრობლემა მთლიანად აღმოიფხვრას“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

კორონავირუსით გამოწვეული შეზღუდვები რომ დაბრკოლება არ იქნება, დარწმუნებულია „ევროპული საქართველოს“ წევრი **ᲒᲘᲒᲑᲐ ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲐ,** რომლის განცხადებით, არჩევნები ჩატარდება და იმ მომენტისთვის ეს ვითარება არ იქნება. ბოკერიას განმარტებით, ამ გამოწვევის გადალახვამდე მსოფლიოს მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება ნაკლები ადამიანის სიცოცხლეს შეექმნას საფრთხე. მისივე თქმით, ეპიდემიის გადალახვის შემდეგ ეკონომიკაში უმძიმესი შედეგები დადგება, ამიტომ, ნაბიჯები ახლა უნდა გადაიდგას.

მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო კამპანია ჯერ არ დაწყებულა, პოლიტოლოგ **ᲠᲐᲛᲐᲖ ᲡᲐᲤᲐᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ** შეფასებით, შექმნილი ვითარება ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს, თუმცა ამბობს, რომ არჩევნებზე დიდ გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ოპოზიციას არა აქვს რეიტინგი.

„ოპოზიცია სულ ცდილობს ხელისუფლების რეიტინგის დაცემას და ამ ფონზე გამოჩნდა, რომ ხელისუფლებას რაღაცა შეუძლია. ფაქტიურად, კორონავირუსის წინააღმდეგ გამოწვეულმა შედეგებმა ათმაგი გახადა ხელისუფლების მიმართ დამოკიდებულება ისე, რომ თავისდაუნებურად, ოპოზიციამ, აი, ამ პესიმიზმის დანერგვით ხელი შეუწყო იმას, რომ უფრო მკაფიოდ, რელიეფურად გამოჩნდა ხელისუფლების წარმატება.

ცოტა ზედმეტი მოუვიდა ოპოზიციას ხელისულების გინება. აქ დიდი მოფიქრება არ არის საჭირო, ის, რომ შენმა ქვეყანამ ამ გამოწვევას მეტ-ნაკლებად უკვე გაუძლო, ეს ფაქტია. ეს, რა თქმა უნდა, ამ არჩევნებზე იქონიებს გავლენას. ოპოზიცია რას სთავაზობს საზოგადოებას, გარდა ამ ხელისუფლების სიძულვილისა, მეტს არაფერს. შეიძლება ასეთი სიძულვილი აღარ იყოს

პოპულარული მაშინ, როცა დადგება არჩევნების დრო. ნუ იქნება პოპულარული სიძულვილი, რადგან ეს სიძულვილი არცთუ ისე პოპულარული მოვლენაა, რომ თუ მან პოპულარობა დაკარგა, ამაზე გული დაგწყდეს“, — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

მიმდინარე პროცესები რომ ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს, ამის შესახებ საუბრობს ექსპერტი **ᲒᲔᲚᲐ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ,** რომლის განცხადებით, ამ ნაწილში უნაკლოდ იმუშავა სამედიცინო ბლოკმა და ჯანდაცვის სისტემამ იმის ჩათვლითაც, რომ ხელისუფლება ძალიან ზუსტი გეგმით ამუშავა ამ წუთამდე.

„პრაქტიკულად, მათი რეკომენდაციით მუშაობდა ხელისუფლება. ამან შედეგი გამოიღო, რაც მნიშვნელოვანი შედეგია. მაგრამ პროცესები არაპროგნოზირებადია და ვერავინ ვერ გათვლის, რა იქნება. როგორც კი გამოცხადდება ეპიდემიის დასასრული, ანუ როცა დაიწყება ცხოვრების ჩვეულებრივი რეჟიმი, მნიშვნელოვანია, როგორი იქნება ეკონომიკური მდგომარეობა. საუბარია იმაზე, ეკონომიკის რომელი სექტორი როგორ იმუშავებს.

ყველაზე მგრძნობიარე არის ტურიზმი, რომლის საშუალებითაც ჩვენ მოსახლეობის ფართო ფენებს ვეხებით. საქართველოში ბევრი ადამიანია, ვინც ამისგან მეტ-ნაკლებად ეკონომიკურ შემოსავალს იღებს. თუ ტურიზმი გაჩერდება, შესაბამისად, გაჩერდება ყველა მიმართულება, რაც ტურიზმს ასულდგმულებს. ეს რა ტიპის ცვლილებებს გაუძლებს, არავინ იცის“, — აცხადებს გელა კვარაცხელია.

მისი თქმით, ეს დაგროვილი უარყოფითი ოპოზიციური ენერგია სად და რომელ ნაწილში აისახება, რომელი დარგი გახდება მაპროვოცირებელი, არავინ არ იცის.

ᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲐᲑᲐᲫᲔ

ᲛᲐᲘᲙᲚ ᲒᲐᲠᲤᲝᲠᲢᲘ:

ᲑᲠᲐᲕᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ!

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ საქართველოში მცხოვრები ბრიტანელი ექსპერტი **ᲛᲐᲘᲙᲚ ᲒᲐᲠᲤᲝᲠᲢᲘ** სოციალურ ქსელში წერს, ამ სტრატეგიის წყალობით საქართველოში ინფექციის მაჩვენებლები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ბევრ ე.წ. განვითარებულ ქვეყანაში.

„ბრავო საქართველოს მთავრობას კორონავირუსთან ბრძოლაში! ჩემში, როგორც საქართველოში მცხოვრებ ბრიტანელში, დიდ აღტაცებას იწვევს ის, თუ როგორ უმკლავდებიან საქართველოს მთავრობა და სამედიცინო უწყებები კორონავირუსის საფრთხეს. ქვეყანაში ვირუსის შემოღწევის პირველივე ნიშნების გაჩენისთანავე, მთავრობამ შემოიღო სავალდებულო ტესტირება და კარანტინი ვირუსის შესაძლო მატარებლებისთვის, ასევე დაინფიცირებულთა ყველა კონტაქტის დადგენა, კარანტინში მოთავსება და ტესტირება. ამ სტრატეგიის წყალობით, ინფექციის მაჩვენებლები ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ბევრ ეგრეთ წოდებულ განვითარებულ ქვეყანაში. მთავრობა აგზავნის მკაფიო გზავნილებს და, საჭიროების შემთხვევაში, აწესებს შეზღუდვებს. ასევე ბრავო საქართველოს ჯანდაცვის სამსახურებს, რომლებიც სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდნენ დაინფიცირებულთა მკურნალობის თვალსაზრისით და გამოამჟღავნეს თავიანთი პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება. გმადლობთ და უფალმა დაგლოცოთ! გაუფრთხილდით თავს. შეასრულეთ მთავრობის რეკომენდაციები სოციალურ დისტანცირებასთან დაკავშირებით. ნუ გახვალთ გარეთ, თუკი არ არსებობის ამის უკიდურესი აუცილებლობა, ხშირად დაიბანეთ ხელები და გთხოვთ, ძალიან გთხოვთ, ნუ დაესწრებით საზოგადოებრივ შეკრებებს“, — წერს მაიკლ გარფორტი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე.

აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდია!

ქ-ნი ნინო ბურჯანაძის და ბ-ნი ირაკლი ტაბლიაშვილის საუბრიდან, რომელმაც ნახევარ საათზე მეტხანს გასტანა (კვირას, 15 მარტს), ზოგიერთ კითხვა-პასუხს შევეხები. ზოგჯერ, სიმოკლისთვის მხოლოდ ქ-ნი ნინოს პასუხებს მოვიყვან.

ნინო ბურჯანაძე სტუმრად „პოლიტ-ტაბლოში“ ირაკლი ტაბლიაშვილთან

"კორონა" და "არჩევნები 2020"

განა, შეიძლება ირაკლი ბათიაშვილის და წამებით სიკვდილის პირას მიყვანილი სულხან მოლაშვილის, ამ ორი უდანაშაულო ადამიანის 48 მილიონის მიმთვისებელ გიგი უგულავასთან შედარება და მათი გვერდიგვერდ დაყენება, გნებავთ, იურიდიული და, გნებავთ, მორალური თვალსაზრისით?

როგორც ვიცით, სულ ახლახან ამერიკის ახალი ელჩის აქტიური ჩარევით ამერიკის საელჩოში საქართველოს მმართველ ძალასა და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას შორის ხელი მოეწერა ორ შეთანხმებას: საარჩევნო სისტემაში შესატანი ცვლილებების შესახებ და პოლიტიკურ საკითხზე. პირველი შეთანხმება არის კომპრომისული, ანუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება არა აბსოლუტურად პროპორციული სისტემით, როგორც ამას ოპოზიცია ითხოვდა (და როგორიც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის თავდაპირველი დაპირება იყო), არამედ, – 120/30 ფორმულით, რაც იმას ნიშნავს, რომ 120 (80%) დეპუტატი აირჩევა პროპორციული წესით (ანუ პარტიული სიებით), ხოლო 30 (20%) – მაჟორიტარული წესით (ანუ პერსონალურად).

რაც შეეხება მეორე, პოლიტიკურ საკითხზე შეთანხმებას, იგი ოპოზიციის მხრიდან ულტიმატუმის ფორმით წამოყენებული გაუგონარი პოლიტიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს (ისინი მოგვიანებით გაჩნდა, თავდაპირველად მხოლოდ ერთი მოთხოვნა იყო – შეესრულებინა მმართველ პარტიას დანაპირები, მაგრამ, როგორც იტყვიან: „მადა ჭამაში მოდის“). მართალია, შეთანხმებაში კონკრეტული გვარები მითითებული არ არის, მაგრამ, როგორც მოლაპარაკების მონაწილენი აცხადებენ, მოხდა სიტყვიერი შეთანხმება ოთხი პატიმრის გათავისუფლების (აქედან ერთ-ერთის – შეწყალების) შესახებ. შეთანხმდნენ ისე, რომ ქ-ნ სალომე ზურაბიშვილისთვის, რომლის დისკრეციული უფლებაა პატიმრის შეწყალება, არავის არაფერი უკითხავს, რაც საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის მიმართ გამოჩენილი წარმოუდგენელი უპატივცემულობაა!

ახლა, არ იკითხავთ ვის შეწყალება-განთავისუფლებაზეა ლაპარაკი? პირველი გახლავთ 48 მილიონი ლარის (ბიუჯეტის, ანუ ხალხის ფულის) გამფლანგველი (ეს, რბილად რომ ვთქვათ), ქალაქ თბილისის ყოფილი მერი, ნაციონალი **გიგი უგულავა,** რომელსაც მხოლოდ სამ წელზე ოდნავ მეტი მიესაჯა და, რომელსაც არც ამ მილიონების დაბრუნებას სთხოვს არავინ და არც ქონების კონფისკაცია ემუქრება! ამის შემხედვარე, საქართველოში, თითქმის, ყველა, ერთი მუჭა მილიონერების გარდა, სიამოვნებით ჩაჯდება ციხეში 48 მილიონის სანაცვლოდ! აბა, ვინ იტყვის უარს მერაბიშვილ-ახალაია-უგულავასთვის სპეციალურად შექმნილ სანატორიულ(!) პირობებში სამი წლის გატარებაზე! მეორე გასანთავისუფლებელი გახლავთ სააკაშვილის დროინდელი შინაგან საქმეთა, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრი, ასევე ნაციონალი **ირაკლი ოქრუაშვილი,** რომელსაც 20-21 ივნისის აქციების დროს პარლამენტში შეჭრისკენ მოწოდება-წაქეზებაში და მის შტურმში მონაწილეობაშიც ედება ბრალი! ანალოგიური ქმედებისთვის, კონგრესში შეჭრის მცდელობისთვის ამერიკის შეერთებულ შტატებში უფრო დიდი სასჯელია გათვალისწინებული, ვიდრე ჩვენთან – მკვლელობის ჩადენისთვის! კონგრესის კიბეებზე შეჯგუფება და აქციის მოწყობა კი არა, მეგაფონის უნებართვოდ გამოყენება ისჯება ამერიკაში! მესამეა, აწ გარდაცვლილი დეპუტატის (ნაცმოძრაობიდან) ნიკა რურუას ძმა, ბნელი წარსულის მქონე, ამჟამად კი „მთავარი არხის“ 2,5%-იანი წილის მფლობელი **გიორგი რურუა,** ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შენახვა-ტარების ბრალდებით დაკავებული. მეოთხე, – 20-21 ივნისის აქციების დროს გამოჩენილი ჯგუფური ძალადობისთვის დაკავებული რუსეთის მოქალაქე **ბესიკ თამლიანი.**

აი, ამ ადამიანების განთავისუფლების მოთხოვნას შეუერთდნენ ისეთი, თითქოსდა, ნაცებთან შეურიგებელი მებრძოლები, როგორებიც არიან ქალბატონები **ნინო ბურჯანაძე, ეკა ბესელია** და ბატონი **კახა კუკავა.** და, არა მარტო განთავისუფლების მოთხოვნას! რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის დადებული შეთანხმების თანახმად, **ამ ხალხის დაპატიმრება ხელისუფლებამ, თურმე, ვერც მომავალში ვერ უნდა გაბედოს!** ძალიან ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, უტყუარი ფაქტია.

აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მთელი შვიდი წლის მანძილზე, ანუ რაც „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის არჩევნებში დამარცხდა და მისი ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ქვეყნიდან გაიქცა, გამარჯვებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი პარტიები და, რაღა თქმა უნდა, თავად „ოცნების“ წევრებიც (კრებითი სახელით – „ქოცები“), არცერთხელ არ დამდგარან „ნაცმოძრაობის“ და მათი მხარდამჭერების („ნაცების“) გვერდით არცერთ (!) საპროტესტო აქციაზე, მაშინაც კი, როდესაც ნაცები სამართლიან მოთხოვნებს უყენებდნენ ხელისუფლებას. ამის მიზეზი ერთი რამ იყო მხოლოდ – სახელგატეხილი, ათასი საზიზღრობის, წამებამკვლელობების ჩამდენი, სხვისი ქონების ყაჩაღურად მიმთვისებელი და კორუმპირებული ადამიანების გვერდით დგომა არავის არ სურდა, ყველანი ვაჟა-ფშაველას შეგონების – „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“, ერთგულები რჩებოდნენ. და, რაოდენ გაოცებული დარჩა ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, როდესაც მან ბოკერია-უგულავას და მათ „და-ძმებს“ შორის ხელიხელჩაკიდებული ბურჯანაძე, ბესელია და კუკავა იხილა დემონსტრაციაზე და, აგრეთვე, – ნათელაშვილის ოფისში იმავე ხალხთან გვერდიგვერდ მჯდომნი. ამ მოვლენებს წინ უსწრებდა საპარლამენტო იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებული და „ოცნებაზე“ განაწყენებული (ვფიქრობ, სამართლიანად!) ეკა ბესელიას მიერ გადადგმული ნაბიჯი, როდესაც იგი გულის მოსაოხებლად პირდაპირ მამალ ნაცთან, სააკაშვილის ხელის ბიჭთან, „მთავარი არხის“ დირექტორთან **ნიკა გვარამიასთან** გავარდა ინტერვიუს მისაცემად, იმ ნიკა გვარამიასთან, რომელსაც ამავე არხის ტელეწამყვან **გიორგი გაბუნიასთან** ერთად პირიდან სიმყრალის და გინების მეტი არაფერი არ ამოსდით. გასულ წელს, როდესაც ნაცების მიერ წამებით მოკლული გირგვლიანის ადვოკატი, პატიოსანი კაცის სახელის მქონე **შალვა შავგულიძე,** დამნაშავე ნაცების ბანაკში გადაბარგდა, ვითომდაც, სამართლიანობის დასამყარებლად, ყველას გაგვიკვირდა, მაგრამ სამეულის – ბურჯანაძე-ბესელია-კუკავას ერთდროულად გადადგმულმა ნაბიჯმა, მე პირადად, სახტად დამტოვა. არადა, იყო დრო, ბესელიასაც ვაქებდი ვაჟკაცური გადაწყვეტილებისთვის, როდესაც მან ოპერატიულად მოახერხა პოლიტპატიმრების განთავისუფლება 2012-ში და, ბურჯანაძეც გამჭრიახ, ნომერ პირველ პოლიტიკოსადაც კი მიმაჩნდა. პოლიტიკოსობას და დიპლომატობას დღესაც ვერ დავუწუნებ მას, მაგრამ აი, პოლიტიკური ალღოსი, ორიენტაციის რა მოგახსენოთ, მათ პოლიტიკური უპრინციპობაც გამოამჟღავნეს!

ამ შესავლის შემდეგ უფრო გაადვილდება ჟურნალისტის დასმულ კითხვებზე პოლიტიკოსის მიერ გაცემული ცალკეული პასუხების და, საერთოდ, მისი პოზიციის გაგებაც.

* * *

ნინო ბურჯანაძე (ნ. ბ.): – საარჩევნო სისტემა იყო უმნიშვნელოვანესი კომპონენტი შეთანხმების, მაგრამ იმისათვის, რომ **სრულყოფილად მოხდეს დამუხტული გარემოს ოდნავი განმუხტვა მაინც,** ამისათვის საჭიროა, რომ ორივე კომპონენტი იქნეს შესრულებული (ანუ განთავისუფლდეს ოთხივე „პოლიტპატიმარი“). საბოლოოდ, ჩვენ (მმართველი პარტია და გაერთიანებული ოპოზიცია) შევთანხმდით ერთ **რამეზე, რომ მოდით, ნუ ვიდავებთ დეტალებზე – არიან ეს ადამიანები პოლიტპატიმრები, თუ – არა.** მნიშვნელოვანი დეტალია, რა თქმა უნდა, მაგრამ ცხადია, რომ ამაზე ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ შეთანხმდება, ნუ ვიდავებთ, მაგრამ ერთი ხომ ფაქტია, რომ ამ ადამიანების ახლა ციხეში ყოფნა პოლიტიკურ გარემოს კიდევ უფრო ძაბავს... **პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს იმის სურვილი, რომ პოლიტიკური კრიზისი განმუხტოს.**

კომენტარი: – თავი დავანებოთ იმ ცოტა უცნაურ შედეგს, რომელსაც ქ-ნი ნინო მოელის ოთხი ადამიანის განთავისუფლებისგან, ანუ – „დამუხტული გარემოს **ოდნავ** განმუხტვას“, თანაც,– **„სრულყოფილს“(?!)**, და მთავარზე გადავიდეთ. ქ-ნი ნინო გვთავაზობს, რომ პოლიტიკური გარემოს ოდნავ განსამუხტავად (უფრო კი, ოპოზიციის – ნაცმოძრაობის და მისი განაყოფების ხუშტურების დასაკმაყოფილებლად), თურმე, მნიშვნელობა არა აქვს მართლა პოლიტპატიმრები არიან ისინი, თუ – მკვლელები, ხაზინის ქურდები, გადატრიალების მოთავენი თუ სხვა. თურმე, ვინც არ უნდა იყვნენ, ყველა შემთხვევაში ისინი სასამართლომ უნდა გაანთავისუფლოს ან პრეზიდენტმა შეიწყალოს, **მას უნდა ჰქონდეს ამის სურვილიო!** თან, გარანტიით, რომ მათ, მომავალში ვეღარავინ შეეხება! ვერაფერს იტყვი, „რკინის“ ლოგიკაა! უცნაურია, მეტი რომ არ ვთქვა, იურისტი პოლიტიკოსი, რომელიც, 10 წლის მანძილზე დამნაშავეებს უწოდებდა ნაცებს და „ნაცმოძრაობის“ რეჟიმის გასამართლებას უჭერდა მხარს, ახლა „ქართული ოცნებისგან“ ამ ოთხეულის განთავისუფლებას ითხოვდეს, რომელთაგან მხოლოდ ერთს (უგულავას) აქვს მისჯილი, ხოლო დანარჩენი სამის სასამართლო პროცესები მიმდინარეობს.

ირაკლი ტაბლიაშვილი (ი.ტ.): – **„ხელისუფლებისთვის ძალიან რთული, ძნელი იქნება იმის ირიბად აღიარება, რომ ეს ოთხეული არის პოლიტპატიმარი“.**

ნ.ბ.: – არ არის აუცილებელი ამის აღიარება. იცით, როგორ არის... მთელი ათი წელია, არ მიხსენებია **ირაკლი ბათიაშვილის** და ცხონებული **სულხან მოლაშვილის** სახელი, უფრო სწორად, ფაქტიურად არ დამისახელებია, ახლა მომიწია სიტუაციიდან გამომდინარე მათი ხსენება. 2007 წლის ბოლოს და 2008 წლის დასაწყისში, როდესაც მე პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი და იყო ძალიან მძიმე კრიზისი ქვეყანაში, ძალიან მძიმე იყო მაშინაც – ხელისუფლება არ თვლიდა, რომ ბათიაშვილი და მოლაშვილი პოლიტპატიმრები არიან, ოპოზიცია თვლიდა, რომ პოლიტპატიმრები არიან. მე ძალიან რთულ მდგომარეობაში ვიყავი, თუნდაც, იმიტომ, რომ **არც ერთი და არც მეორე შეწყალებაზე თხოვნის დაწერასაც კი არ აპირებდნენ** და, ახლა დასამალი არაფერი არ არის, **მე მათ გავუგზავნე ციხეში თხოვნა, რომ დაწერეთ, მომეცით დოკუმენტი, რომ შეწყალება...** მაშინ მე უგულებელვყავი ეს პირობა და ავიღე ჩემს თავზე მათი განთავისუფლება მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მწვავე კრიტიკის საგანი გავხდი გუნდის შიგნით ამის გამო. პრეზიდენტიდან დაწყებული ბევრი სხვა კატეგორიულად ამას ეწინააღმდეგებოდა – ამბობდნენ, რომ ჩემი მხრიდან ეს არის სისუსტე, რომ ეს არის დათმობა, აღიარება და ა.შ., მაგრამ ეს გადაწყვეტილება ჯერ ერთი იყო სამართლიანი, ჩემი ღრმა რწმენით და, მეორეც, ამ გადაწყვეტილებამ ითამაშა პოზიტიური როლი და განმუხტა კრიზისი.

კომენტარი: – დავანებოთ თავი საკუთარი თავის ქებას, თუნდაც დაგვიანებულს, ეს მართლაც დეტალია, მთავარი კი შემდეგია: განა, შეიძლება ირაკლი ბათიაშვილის და წამებით სიკვდილის პირას მიყვანილი სულხან მოლაშვილის, ამ ორი უდანაშაულო ადამიანის 48 მილიონის მიმთვისებელ გიგი უგულავასთან შედარება და მათი გვერდიგვერდ დაყენება, გნებავთ, იურიდიული და, გნებავთ, მორალური თვალსაზრისით? ეს ხომ მკრეხელობაა და მეტი არაფერი! და, კიდევ: ისე ამბობს შეგიწყალეო, თითქოს, მანამდე, დანაშაულის აღიარებას არ ითხოვდა მათგან (სხვანაირად, დანაშაულის აღიარების გარეშე, შეწყალების თხოვნა არ იწერება!), – დამიწერეთ, დოკუმენტი მომეცით და შეგიწყალებთო! (მხოლოდ გიგი უგულავა მომყავს შესადარებლად, ვინაიდან, პირველ რიგში, მის განთავისუფლებას ითხოვს ოპოზიცია და, მეორეც, იგი უკვე გასამართლებულია და ბრალიც, 48 მილიონის „შეჭმა“, დამტკიცებული აქვს).

მომიტეხე მჭადი, მოგიტეხავ ყველს...

ი. ტ.: — მიიღებდით ნიკა მელიას თქვენს პარტიაში?

ნ. ბ.: — რატომაც არა! 2007 წლის ნოემბერში იგი იდგა პარლამენტის წინ და გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით აპროტესტებდა იმ ხელისუფლების მოქმედებას, უგვანოს და საძაგელს, რომლის წევრი, სამწუხაროდ, იმ პერიოდში მე ვიყავი. ამიტომ, **არიან ადამიანები, რომლებსაც ნაცმოძრაობის ცოდვებს ვერ წაუყენებ, უსამართლობა იქნება**. მაგრამ, არიან ადამიანები, რომლებსაც, რა თქმა უნდა, აქვთ ეს ცოდვები ძალიან დიდი დოზით.

კომენტარი: — განა, შეიძლება შენს პარტიაში მიიღო ადამიანი მხოლოდ იმ დამსახურებისთვის, რომ 13 (!) წლის წინ იგი, თურმე, სამართლიანად აპროტესტებდა დამნაშავე ხელისუფლების მოქმედებას, ხოლო შემდეგ, როცა „თბილ“ ადგილზე, ეროვნული აღსრულების ბიუროს უფროსად დანიშნეს, ისე ჩაეხუტა იმავე ხელისუფლებას, რომ დღემდე, 12 წელი (!) ხმა აღარ ამოუღია ამ დანაშაულებრივ რეჟიმზე, პირიქით, „ხმალამოღებული“ და მუშტებით იბრძვის სააკაშვილის და მისი ნაცების ინტერესების დასაცავად. **ნაცმოძრაობის ცოდვებს ვერ წავუყენებ, უსამართლობა იქნებაო**, რომ ამბობს ქ-ნი ნინო, განა, პირადად მელიას მიერ ჩადენილი დანაშაული „ქართუ ბანკთან“ მიმართებაში (ადეი შვილთან და კიდევ 10 კაცთან ერთად), იგივე ნაცმოძრაობის ცოდვები არ არის?! ამ დანაშაულისთვის ცნო სასამართლომ მელია დამნაშავედ (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით), 25 ათასი ლარით დააჯარიმა და ორი წლითა და სამი თვით ჩამოართვა თანამდებობის დაკავების უფლება. თუნდაც, არავითარი დანაშაული არ ჰქონდეს მელიას (ან ნებისმიერს!) ჩადენილი — როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით პარლამენტის წევრი ხდები, ავტომატურად შენც ნაცების დანაშაულის, გნებავთ, ცოდვების თანამონაწილე ხარ! ამ უბრალო ჭეშმარიტებას, დავიჯერო, ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც ქ-ნი ბურჯანაძეა, ვერ ხვდება?!

ი. ტ.: — შეიძლება, 16 ოქტომბერს დადგეს მთავრობის დაკომპლექტების საკითხი. ვაჟა-ფშაველა ამბობს: „ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“. ახლა მითხარით: რომელ „ბილწთ“ უფრო შეეკვრით თქვენ — „ბილწ“ ივანიშვილს, თუ „ბილწ“ სააკაშვილს? 16 ოქტომბერს, როცა ერთი დეპუტატის ხმასაც კი ოქროს ფასი ექნება, რომელს დააკომპლექტებინებდით მთავრობას?

ნ. ბ.: — ჯერჯერობით, არცერთს! ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ვერცერთმა პოლიტიკურმა ძალამ და ლიდერმა, ვერც ივანიშვილმა და, მით უფრო, ვერც სააკაშვილმა ვერ შეძლონ ხელისუფლების უზურპაცია. ამიტომ, მე სრულებით არ გამოვრიცხავ, რომ სულ სხვა ტიპის კოალიცია ჩამოყალიბდეს და, არც ივანიშვილი და არც სააკაშვილი არაფერ შუაში არ იყვნენ. არ არის გამორიცხული, **ვნახოთ... მთავრობა უნდა დაკომპლექტდეს მრავალპარტიული პარლამენტიდან ისე, რომ არ იყოს ერთმმართველობის საფრთხე**.

პოლიტიკოსის ამ პასუხს ჟურნალისტის ქათინაური მოჰყვა: ძალიან რთულია თქვენი პროვოცირება, ანუ იმგვარ პასუხს ვერ გათქმევინებთ ხოლმე ჟურნალისტი, რომელი პასუხიც თქვენთვისვე იქნება საზიანო.

კომენტარი: — ნამდვილად არ არის ქ-ნი ნინოს პროვოცირება ადვილი, მით უფრო, იმ ჟურნალისტისთვის, რომელიც ჭეშმარიტი ოპონირების რეჟიმში არ სვამს კითხვებს (ნინო ბურჯანაძე, დღემდე, მხოლოდ ჟურნალისტ **შალვა რამიშვილთან** დამარცხდა და, ეს მან თავად აღიარა ინტერვიუს დამთავრებისთანავე). ტაბლიაშვილის ადგილზე არა ერთ სტრიქონს მოვიყვანდი გენიალური ვაჟას ლექსიდან, არამედ — მთელ სტროფს:

„რაც უნდა ჭირი მომკერძო,
ბილწთ არ შავეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ
მოზღვავებულის ავითა!“

და ქ-ნ ნინოს საკუთარი „ტაქტიკური ნაბიჯების“ (ჭეშმარიტად ბილწ ნაცმოძრაობასთან და მის სატელიტებთან ერთ მაგიდასთან ჯდომა, ერთ დემონსტრაცია-მიტინგებში მონაწილეობა, ერთი მოთხოვნილებებისთვის ბრძოლა) თითოეულ სტრიქონთან შედარებით ანალიზს ვთხოვდი.

„ბილწთ“ სააკაშვილთან და ივანიშვილთან ერთად, გვერდით მჯდომ ბოკერიასაც დავუსახელებდი აუცილებლად, რადგან, კოალიციური ხელისუფლების შემთხვევაში, რაც სავსებით მოსალოდნელია მომავალ არჩევნებში, ამ სამიდან ერთ-ერთს მაინც, ვერავინ ვერ აუქცევს გვერდს.

ქ-მა ნინომ გააგრძელა: ჩემი მთავარი იმედია და, იმედია, ეს არ გამიცრუვდება, ჩვენი მოსახლეობა ძალიან სწორად განსაზღვრავს ახლა იმას, რომ ხმები უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შორის. სხვათა შორის, 1%-იანი ბარიერი იცით რატომ იყო ძალიან მნიშვნელოვანი — არა იმიტომ, რომ, დავუშვათ, ჩემთვის რამეს ნიშნავს, **1 და 2%-ით თუ შევედი პარლამენტში, საერთოდ არ გავჩერდები იმ პარლამენტში**. მაგრამ, მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის — ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც, თუნდაც, 5-7%-ის მქონე პარტიებს მოსახლეობა აღარ აძლევდა ხმას, ეშინოდა, რომ არ დაკარგულიყო — ან ნაციონალურ მოძრაობას არ წაეღო ეს ხმა, ან — „ქართულ ოცნებას“. ეხლა ადამიანებმა უნდა გაითავისონ, რომ აბსოლუტურად ყველა ხმა მიდის კონკრეტულ პარტიასთან და **არცერთი ხმა აღარ იკარგება...** ჩვენ უნდა ავუხსნათ ხალხს, რომ **1%-იანი პარტიების ხმა არ დაიკარგება** და ამ ხმას ვერ გადაყლაპავს ვერც ნაცმოძრაობა და ვერც — ოცნება. **ამიტომ, ადამიანებმა არჩევანი უნდა გააკეთონ და რაც შეიძლება მეტი პარტია შეიყვანონ პარლამენტში!**

კომენტარი: დარწმუნებული ვარ, ქ-ნ ნინოს „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერისთვის, ქ-ნ ირმა ინაშვილისთვის რომ მიებაძა და „პოლიტპატიმართა“ შესახებ შეთანხმებისთვის ხელი არ მოეწერა, ნამდვილად მიიღებდა მისთვის სასურველ პროცენტებს, ყოველ შემთხვევაში, 1-2 %-ზე მეტს — ნამდვილად. ახლა კი, რაც არ უნდა იმჭერმეტყველოს მან ტაქტიკურ სვლებზე და თავის მართლებას შეეცადოს, ნაცებთან შეკავშირებით სახელგატეხილი, იგი, მისი პარტია, ძალიან ბევრ მხარდამჭერს დაკარგავს, რომლებიც ქართულ პოზიციებზე ურყევად მდგარ ირმა ინაშვილის და დავით თარხან-მოურავის „პატრიოტთა ალიანსს“ მისცემენ ხმას.

რაც შეეხება პარტიების მიერ ხმების დაკარგვას — **არ დაიკარგება მხოლოდ(!) 1%-იანი პარტიების ხმები,** იმათი კი, რომლებიც 1%-ზე ნაკლებს დააგროვებენ, ისევე დაეკარგებათ, როგორც ადრე ეკარგებოდათ, ოღონდ, რასაკვირველია, 1%-იანი ბარიერის შემთხვევაში, დანაკარგი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე ეს 3 და 5%-იანი ბარიერის დროს იყო, თუმცა, საერთო ჯამში, სავარაუდოდ, რამდენიმე პროცენტი მაინც დაგროვდება.

მაგალითად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც 5%-იანი ბარიერი იყო დაწესებული, ბარიერი 22 პარტიამ ვერ გადალახა და მათი ხმები — 19.80%, ანუ 15 (!) მანდატი პარლამენტში გასულ სამ პარტიას — ქართულ ოცნებას, ნაციონალურ მოძრაობასა და პატრიოტთა ალიანსს შორის გადანაწილდა. 2016-ში ამ განაწილების სამ ვარიანტს განიხილავდნენ: პირველი — ყველა ხმა გამარჯვებულ პარტიას (ასე სურდა „ქართულ ოცნებას“), მეორე — თანაბრად ყველას (ანუ 5-5 მანდატი თითოეულს) და მესამე — პროპორციულად (დაგროვილი ხმებისდა მიხედვით, რაც 9, 5 და 1 მანდატი გამოდიოდა შესაბამისად). დიდი დავის შემდეგ, ბოლო ვარიანტი აირჩიეს, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ თავისი წილიდან თითო დამატებითი მანდატი, რატომღაც, „ნაცმოძრაობას“ და „პატრიოტთა ალიანსს“ დაუთმო.

საერთოდ, როგორი წესითაც არ უნდა განაწილდეს პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიების ხმები მომავალ არჩევნებში, მაინც არცერთი არ იქნება სამართლიანი, რადგანაც სხვისი საკუთრების მითვისება, ქონება იქნება ეს, თუ — ხმები, ყველა დროში დანაშაულად (ქურდობად, ყაჩაღობად) ითვლებოდა და, მნიშვნელობა არა აქვს პარლამენტში მოხვედრილი პარტიები 15 მანდატს გადაინაწილებენ ერთმანეთში „ძმურად“ თუ — სამს, „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი, ორივე ქურდია“!

ყველაზე სამართლიანი, ჩემი აზრით, იქნება შემდეგი წესი: ბარიერს მიღმა დარჩენილ პარტიებს საკუთარი(!) ხმების თავიანთ ჭკუაზე განკარგვის უფლება უნდა ჰქონდეთ. მათ უნდა შეეძლოთ ერთმანეთში მოლაპარაკებით შეაერთონ ხმები და გაიყვანონ რომელიმე პარტიის (ან პარტიების) კანდიდატი (გააჩნია, ხმების რამდენი პროცენტი დარჩება). ამასთან ერთად, თითოეულ პარტიას, უნდა შეეძლოს აგრეთვე, თავისი ხმების გადაცემა ბარიერგადალახული ნებისმიერი პარტიისთვის.

ბარიერსმიღმა დარჩენილი ხმების სამართლიანი ათვისების, გნებავთ, განკარგვის ზემოთ შემოთავაზებული წესი აუცილებლად უნდა იქნას მიღებული, რადგანაც, თუ დღეს, ანუ 1%-ანი ბარიერის პირობებში მას არა აქვს დიდი მნიშვნელობა (მაქსიმუმ, ხმების 2-3% თუ დარჩება მხოლოდ), არავინ იცის 2020 წლის შემდეგ არჩევნები როგორი წესით ჩატარდება, ალბათ, ყველაზე გავრცელებულ 5%-იან ბარიერს დავუბრუნდებით და, ამიტომ, იმ დროისთვის მას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება! შეგახსენებთ, რომ 2016-ში ჩვენთან 19.8% შეადგინეს ამ ხმებმა; პოლონეთში, იგივე 5 %-იანი ბარიერის პირობებში 1993 წელს — 34% (!), ხოლო თურქეთში 10%-ნი ბარიერის დროს 2002-ში — 46 % !

ახლა განვიხილოთ ჩვენი წლევანდელი არჩევნების და, ზოგადად, საპარლამენტო არჩევნების ყველაზე მნიშვნელოვანი მხარე. დავუშვათ, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩატარდა იგი და ბარიერსმიღმა დარჩენილი პარტიების ხმებიც (სავარაუდოდ, 1-2 მანდატი) უმტკივნეულოდ განაწილდა. ცხადია, 1%-იანი ბარიერის პირობებში, პარლამენტში გაცილებით მეტი პარტია მოხვდება, ვიდრე აქამდე, 5%-იანის დროს ხვდებოდა... და იგი ჭეშმარიტად მრავალპარტიული გახდება, მაგრამ საკითხავია, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ასეთი მრავალფეროვნება (გნებავთ, სიჭრელე) კანონშემოქმედებითი საქმიანობისთვის, ხელს შეუწყობს, თუ — პირიქით. პარლამენტის მუშაობაში — გადაწყვეტილებების მიღებაში ხელის შეშლა განსაკუთრებით მაშინ გახდება თვალში საცემი, როდესაც არცერთ პარტიას უბრალო უმრავლესობაც კი არ ექნება. და, სწორედ ამისკენ ისწრაფვის ასე მონდომებით ჩვენი ოპოზიცია დღეს!

არცერთი ექსპერტი სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ **საპარლამენტო სისტემა ყველაზე მეტად არის მიდრეკილი არასტაბილურობისკენ** (შეუთანხმებლობისკენ, ფუჭი ლაყბობისკენ) და, **რაც უფრო მეტი პარტია იქნება წარმოდგენილი პარლამენტში, მით უფრო მეტად არასტაბილური ხდება იგი!** კოალიციური ხელისუფლება, როცა იგი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეებისგან შედგება, ძალზე არამყარია და ძალიან ძნელდება, ჭიანურდება და, ხშირად, არც კი ხერხდება მნიშვნელოვანი კანონების მიღება თუ რეფორმების გატარება. ამიტომ, ხშირია პოლიტიკური კრიზისები და ვადამდელი არჩევნები. სწორედ ეს არის მრავალპარტიული პარლამენტის მთავარი ნაკლი და, იმისათვის, რომ არ მოხდეს პარლამენტის ფრაგმენტაცია-დაყოფა-დანაწევრება, მოიფიქრეს საარჩევნო პროცენტული ბარიერი, რომელიც უმეტეს ქვეყნებში 5%-ია (ყაზახეთში — 7%, თურქეთში — 10% !). პარტიებს შორის ყოველთვის ხდებოდა გარიგებები პარლამენტში, მაგრამ, **განსაკუთრებით, სწორედ მრავალპარტიულ, 8-10 პარტიისგან დაკომპლექტებულ პარლამენტში საპარლამენტო ცხოვრების წესად იქცევა გარიგებები პრინციპით: „მომიტეხე მჭადი და მოგიტეხავ ყველს“!**

არც ის არის სადავო, რომ **ქვეყნის სამართავად ყველაზე ეფექტური არის, როდესაც მთელი ძალაუფლება ერთი პარტიის ხელშია,** ანუ, როდესაც მას საკონსტიტუციო უმრავლესობა გააჩნია პარლამენტში, როგორც ეს „ქართულ ოცნებას აქვს დღეს, მაგრამ ... უდავოა ისიც, რომ ასეთი მმართველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, თუკი ეს უმრავლესობა დამოუკიდებელია(!) და პატიოსნად(!) ემსახურება თავის სამშობლოს! წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა სხვისი კარნახით მოქმედებს და „სტრატეგიული მოკავშირის“ ნებართვის გარეშე ერთი კანონის მიღებაც არ შეუძლია, დამღუპველია!

კიდევ უფრო უკეთესია (სახელმწიფოსთვის!), თუკი ძალაუფლება ერთი კაცის — პრეზიდენტის ან პრემიერის (სახელებს არა აქვს მნიშვნელობა) **ხელშია.** მაგრამ, ეს მტკიცებაც მხოლოდ დამოუკიდებლად მართვის პირობებშია სწორი და, როდესაც საჭეთმპყრობელი განათლებული, გულადი, თავისი ერისა და მიწისთვის თავდადებული, ეროვნული თვითშეგნების კაცია!

იაკობ ლეჟავა.

P. S. ერთპიროვნული მმართველობის უპირატესობა კიდევ ერთხელ დადასტურდა ჩინეთში — კორონავირუსთან ეფექტური ბრძოლის მაგალითზე.

ი. ლ.

ეკატერინე ტიკარაძე: ოთხთვიან ჭრილში გეგმიური ოპერაციების გადავადება იგეგმება

გეგმიურ ოპერაციებთან დაკავშირებით, ჩვენ შევიტანეთ ცვლილება. იგეგმება ოთხთვიან ჭრილში გეგმიური ოპერაციების გადავადება. მაგრამ არა სასწრაფო ოპერაციების, — განაცხადა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ საკოორდინაციო საბჭოს ეკონომიკური გუნდის შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

თამარ გაბუნია: კორონავირუსის პიკი ჩვენ შეიძლება, არც არასდროს მივიღოთ

„რადგან ჩვენ ზუსტად ვიცით, რომელი კლასტერი როდის ემატება, ეს ნიშნავს, რომ ჯერჯერობით, საბედნიეროდ, ყველა კლასტერი კონტროლდება. ყველა დადებითი შემთხვევა ვიცით რასთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება იმას, თუ როდის ველოდებით პიკს, სხვადასხვა მოდელი ამბობს, რომ პიკი მოსალოდნელია, თუ არაფერს გავაკეთებთ, მე-7, მე-8 კვირაზე პირველი შემთხვევების გამოვლენიდან. ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ არის აქტიური სოციალური დისტანცირება, მთელი რიგი ღონისძიებები, ამდენად მე-7, მე-8 კვირის პიკი დიდი ალბათობით გადავადდება და ჩვენ შეიძლება არც არასდროს მივიღოთ პიკი. ჩვენი მიზანიც ეს არის, რომ იყოს ეტაპობრივი და თანმიმდევრული, თუ იქნება შემთხვევების მატება. საუკეთესო სცენარი არის, რომ შემთხვევების მატება და გამოვლენა იყოს ეტაპობრივად“, — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ თამარ გაბუნიამ.

კახა კალაძე: იტალია, ქართველ ხალხთან ერთად თქვენ გვერდით ვდგავარ და ამ გასაჭირს ერთად გავართმევთ თავს!

„სამწუხაროდ, დღეს მსოფლიო უკიდურესად მძიმე რეალობის წინაშე დგას. მთელი გულით განვიცდი კორონავირუსით დაავადებული ადამიანების ამბავს. ასევე, მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ყველა ექიმს, თავდაუზოგავი და გმირული საქმიანობისთვის.

მინდა, ღრმა მწუხარება და პატივისცემა გამოვხატო მსოფლიოს ერთ-ერთი უსაყვარლესი ქვეყნის, იტალიის მიმართ, რომელიც ჩემი მეორე სახლია. ეს არის ქვეყანა, რომელმაც უდიდესი სიყვარულით, თანადგომით მიმიღო და ჩემი ცხოვრების გამორჩეული წლები მაჩუქა. აქედან გამომდინარე, ჩემთვის კიდევ უფრო მტკივნეულია იმის ნახვა, თუ როგორ იტანჯება დღეს იტალია. მე, როგორც თბილისის მერი და როგორც ერთი მილანელი ბიჭი, ქართველ ხალხთან ერთად თქვენ გვერდით ვდგავარ. ასეთ დროს აუცილებელია, რომ ერთად და ძლიერად ვიდგეთ. სწორედ ამ სიყვარულის და თანადგომის ნიშნად, თბილისის სიმბოლო — ანძა, გავანათეთ იტალიის დროშის ფერებში. იტალია, თქვენთან ვართ და ამ გასაჭირს ერთად გავართმევთ თავს! თავს გაუფრთხილდით“, — წერს კალაძე.

ხმების ჯადო, ხმების მაგია

დაჩა მარაინის უჩვეულო კოლექცია



უჩვეულო **კოლექციის შემსწრე გახდებოდა ჰაინრიხ ბიოლის პროზის მკითხველი:**

მისი პერსონაჟი დოქტორი მურკე აგროვებდა... დუმილს, და ეს უცნაური საქციელი ნოველის სათაურშივე გაცხადდებოდა – „დოქტორი მურკე აგროვებს... დუმილს“.

უჩვეულო კოლექციის შემსწრე გახდებოდა დაჩა მარაინის პროზის მკითხველიც:

მისი პერსონაჟი მიკელა კანოვა აგროვებდა... ხმებს, და ეს უცნაური საქციელი რომანის სათაურში მხოლოდ მინიშნებით გაცხადდებოდა – „ხმები“.

გერმანელი პერსონაჟი დუმილს რადიოფირებზე აგროვებს.

და რადიოფირებზე აგროვებს ხმებს იტალიელი პერსონაჟიც.

მსოფლიო სახელად იქცეოდა ჰაინრიხ ბიოლი ნობელის პრემიით დაჯილდოების შემდგომ.

დაჩა მარაინი ვერ მოიპოვებდა ამ ჯილდოს და მხოლოდ მის კანდიდატად დარჩებოდა, თუმც არაერთი საერთაშორისო და ყველა პრესტიჟული იტალიური პრემია უნდა რგებოდა.

ეს ისე, სხვათა შორის, მთავარი ისაა, რომ ჩვენშიც ერთბაშად გაღვივდებოდა ინტერესი ამ მრავალმხრივი მწერალი ქალის მიმართ – პროზაიკოსის, პოეტის, ჟურნალისტის, ესეისტის, სცენარისტის, დრამატურგის, კინოდოკუმენტალისტის.

ინტერესი კი უნდა გამოეწვია მის ამ რომანს, პერსონაჟი ხმებს რომ აგროვებს.

ხოლო ეს უცნაური კოლექცია **ნუნუ გელაძეს** უნდა შემოეტანა ჩვენს თვალთახედვაში ჩვეული მთარგმნელობითი ხელოვნებით (საგა-საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, 2019; წიგნი ითარგმნებოდა იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით) და ავეფორიაქებინეთ უაღრესად მწვავე სიუჟეტითაც და დაცემული რეალობის შეუფერადებელი სურათებითაც, დაჩა მარაინი ასე შეუბრალებლად რომ უზიარებს მკითხველს, რადგანაც ტრაგიკული სინამდვილისადმი თვალის არიდებითა თუ ბასრი კუთხეების დაბლაგვებით სატკივარი და წყლული არ იკურნება.

ესეც კიდევ ერთი შემძვრელი ეპიკური ნიმუში, თუ სადამდე შეიძლება მივიდეს ღმერთსმოკლებული ადამიანი, სიუჟეტი – მეტი სიმკვეთრისათვის – დეტექტიური იერითაც რომ უნდა აღბეჭდილიყო, მოყვარული გამომძიებლობა კი, თავისდამოულოდნელად, მიკელა კანოვას უნდა ეტვირთა და ბოლომდეც მიჰყოლოდა, და ძიების კვალობაზე მისი მეზობლის, ახალგაზრდა ქალის – ანჯელა ბარის, უმოწყალოდ დამჩეხი მასაც და მკითხველსაც ხან ვინ რომ უნდა ჰგონებოდა და ხანაც ვინ... და მცდარი კვალის მიღმიდან თანდათან უნდა ამომართულიყო გარეგნულად სასიამოვნო ადამიანი, მოქანდაკე, რომელიც არ მორიდებოდა გერებთან – პატარა ბავშვებთან – ინცესტს, და ამისათვის ისევე არ დაჰქენჯნიდა სინდისი, როგორც მკვლელობისათვის.

მთავარი გმირი, ადამიანის სულის ყველაზე ბნელი კუნჭულების მიმკვლევი და გამომამზეურებელი მიკელა კანოვა მთელი რომანის მანძილზე ხმების გარემოცვაში რომ იტრიალებდა, სწორედ ხმების შეგროვებითა და მათი აშკარა თუ ფარული ნიუანსების წვდომით უნდა შესულიყო იმ სხვა სამყაროში, საიდანაც ბევრი ისეთი რამ გათვალსაჩინოვდებოდა მისთვის, სხვაგვარად სრულიად დამალული რომ დარჩებოდა.

ხმების მაგია ბოლომდე უნდა განეცადა.

ხმების ჯადო ბოლომდე უნდა ეგრძნო.

და კიდეც გაეცნობიერებინა ხმების ფხიზელი და მოლაპარაკე სხეულები, რისთვისაც უნდა შემოეშველებინა დაწერილ ნიშანთა გეომეტრიული ლოგიკა და ასე წარმოესახა მკვლელობის გამოძიების ამბებიც და ის სულიერი თავგადასავალიც ტრაგიკულ რეალობაში ჩავარდნილი ადამიანებისა, რაც „ხმებს“ გამორჩეულ რომანად აქცევდა და გააბედინებდა დაჩა მარაინის, თამამად გაედო ხიდი თვით ჯოზეფ კონრადთან, მისი რომანით – „საიდუმლო ამხანაგი“ – შთაგონებული რომ მოჰკიდებდა ხელს ამ უმწვავეს თემას, და კიდეც შემოიტანდა თხრობაში დიდებული ინგლისელი მწერლის წარმოსახვით ჩამოსხმულ იმ არაჩვეულებრივ ამბავს, რომელშიაც მიკელა კანოვა დასიებული თვალებით უნდა ჩაფლულიყო.

შავ წყლებში მეთევზე ნავის კაპიტანი უეცრად უნდა წაწყდომოდა დახრჩობას გადარჩენილ ყმაწვილკაცს, რომელიც ღამის ორეულივით ჰგავდა მას, და გადაწყვეტდა, თავის კაიუტაში დაემალა. და ასე უნდა წარმდგარიყვნენ პირისპირ მდუმარენი: ერთი – კანონთან პირნათელი კაცი, ყველასაგან პატივდეებული, გვარიანად შემოსავლიანი სამსახურით, და მეორე – ძებნილი, მარტოსული, შიშველი ახალგაზრდა, კანონგარეშედ გამოცხადებული, რადგანაც ჩხუბში მეზღვაური შემოჰკვდომოდა.

და მიუხედავად ამისა, ორივეს ერთმანეთში სულიერი სიახლოვე, შინაგანი ერთსულოვნება უნდა აღმოეჩინა: ერთში იყო რაღაც ისეთი, რაც მეორესაც ჰქონდა, და ერთიმეორის ასე მალულად შეცნობა უკიდურესი თავმდაბლობის გამოვლენად უნდა გამოჩენილიყო, ასევე სიამოვნებისაც, რაც ღამის აკრძალულ და იდუმალ მადლად წარმოდგებოდა.

დახრჩობას გადარჩენილი კანონგარეშე ახალგაზრდის გასათავისუფლებლად კაპიტანს გემი ისე ახლოს უნდა მიეყვანა შხერებთან, რომ ძლივს გადარჩენოდა დამსხვრევას, არადა, მისი ორეული წყლით ისე უნდა მისულიყო ნაპირთან ოდნავ ახლოს, რომ არც დამხრჩვალიყო და ვერც ვერავის დაენახა, და მერე კი თავშესაფარი მოეძებნა.

ესეც ზუსტი და ღრმა წაკითხვა ჯოზეფ კონრადის რომანისა, რომლის გააზრებაც ასე ძალდაუტანებლად უნდა ჩართვოდა თხრობას, დაჩა მარაინის გმირი წაკითხულის შთაბეჭდილებას თავის განცდებს რომ მოადევნებდა, კონრადის კაპიტნის გაორებაში თავის გაორებას შეიცნობდა და გააცნობიერებდა, თუ რატომ დაინტერესებულიყო ასე ძალიან ანჯელა ბარის მკვლელობით, მანამდე რომ ეგონა: ეს მხოლოდ კარის მეზობლობისა და პირადი ნაცნობობის გამო მოხდაო.

მიზეზი თურმე გაცილებით უფრო ღრმა გახლდათ:

ახალგაზრდა ქალში მიკელა კანოვას თავისი ზოგი მარცხი, თავისი უწესრიგობანი, თავისი შიშები და დამცირებანი უნდა ამოეცნო.

და მკვლელობის გამორკვევის ზღურბლზე მდგარი – კონრადის კაპიტანივით – სარისკო სვლას აკეთებდა, რათა რაც შეიძლება ახლოს მისულიყო კლდეებთან – თავისი მომავლის მსხვრევის რისკის ფასად; რათა ცისფერი ტილოსფეხსაცმლიანი სიკვდილი ფრთხილად ჩაეშვა წყალში, ღამის სიბნელეში უხიფათოდ რომ ეცურა და სადმე ნაპირისათვის მიეღწია, ბედნიერისა თუ არა, მშვიდისა მაინც.

ფემინისტური მოძრაობის თავგამოდებული მონაწილე მწერალი ქალი რომანს ერთგვარი პროპაგანდისტული და სოციალური მიზნითაც ჩაიფიქრებდა, რათა ემხილებინა ქალთა მიმართ ჩადენილი და გაუხსნელი დანაშაულობანი, ერთიერთმანეთზე საზარელი და თავზარდამცემი, და მისი პერსონაჟიც სწორედ ამას ცდილობს, რადიოგადაცემათა ციკლს რომ ამზადებს ამ თემაზე; მაგრამ მწერლური ხელოვნება დაჩა მარაინისა, ღრმა ფსიქოლოგიური ძიებანი, ხასიათების გამოკვეთის ოსტატობა, მახვილგონივრულად ამოხვეული სიუჟეტური ქარგა და თხრობის ექსპრესიულობა შორს გასცილდებოდა თავდაპირველ განზრახვას და ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილების რანგამდე აზიდავდა უბედურად აღსრულებული ახალგაზრდა ქალისა და მისი ორეულის ტრაგედიას იმ სულიერად დაცლილ, მორალურად გაუფასურებულ გარემოში, სადაც თავდასაცავად ვინ დუმილი შეიძლება შეაგროვოს და ვინ ხმები.

და... განა სულერთი არ არის?!

როსტომ ჩხეიძე

თავხედური „გასროლა“, ანუ ვინ ხარ შენ, ლალი მოროშკინა?!

„ბრავო, ლალი! – ხმამაღლა წამოვიყვირე, როცა **ლალი მოროშკინას** ახალი მინი (პოლიტიკური) რომანის **„სამი დღე ვაქცინამდე“** კითხვა დავასრულე.

მოროშკინას შემოქმედებას მეტ-ნაკლებად ვიცნობ. არც მისი გამბედაობა მიკვირს, მაგრამ, რაც ამ მინირომანში წავიკითხე, გაოცებული დავრჩი...

გაოცებული იმიტომ, რომ ქ-ნ ლალის მწერლური „სითამამე“ ერთი ერთზე დაემთხვა ჩემს ინტუიციას. ეს პროფესიონალიზმთან ერთად, გადაჭარბებულმა გამბედაობამ, ანუ ავტორის მხრიდან თავგანწირვის მზაობამაც გამოიწვია...

ვიტყვი გულწრფელად: **ჩემზე რომ იყოს, ლალი მოროშკინას „თავგანწირულის“ გვირგვინს დავადგამდი და მკერდზე „უშიშარი, ვითარცა უხორცო“-ს ორდენს დავაბნევდი!**

არ ვაჭარბებ: დღეს, როცა ყალბი დემოკრატიის პირობებში, ერთი შეხედვით, ყველაფრის თქმის უფლება გვაქვს, **მოროშკინამ** თქვა ის, რაც აკრძალულია, კერძოდ: **მსოფლიო სრულიად დაუცველია „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ხუშტურებისგან. ამასთან, გახსნა კვანძი, თუ როგორ შეიძლება ემსხვერპლოს იგივე „ძლიერთა“ სატანურ ამბიციებს სამყაროს მშვიდობიანი მოსახლეობა, თუ ჩვენ რწმენაში არ გავძლიერდებით და მათ ნებას მონურად დავემორჩილებით!**

საქმე ისაა, რომ ეს არ არის **ლალი მოროშკინას,** როგორც ნიჭიერი მწერლის, ფანტაზიის ნაყოფი - ავტორი ფაქტებზე დაყრდნობით, მხატვრულ სტილში გადმოგვცემს იმ მომაკვდინებელი ვირუსის შექმნის ისტორიას, რომელმაც შეაზანზარა თანამედროვე სამყარო.

შეიძლება მოიპოვო საკმარისი ინფორმაცია, გაიარო სათანადო კონსულტაციები სპეციალისტებთან, მოახერხო მისი გადამუშავება, მაგრამ, გამბედაობაც ხომ გინდა, ეს ყველაფერი ხმამაღლა იყვირო?!

ქალბატონმა ლალიმ ეს შეძლო!

გამბედაობას არც მე ვუჩივი, მაგრამ, წიგნის წაკითხვის შემდეგ ერთი კითხვა ამეკვიატა: გავრისკავდი მეც იმას, რაც ლალი მოროშკინამ გარისკა?!

პასუხი ჯერჯერობით 50 / 50-ზეა.

ავტორმა მორიგ წიგნს პოლიტიკური რომანი დაარქვა, რაც კიდევ ერთხელ მის კრეატიულობაზე მეტყველებს. თუ პროფესიონალურად შევაფასებთ, აქ უფრო ბინძური პოლიტიკის შტრიხები იკვეთება, ვიდრე, ჩვეულებრივი რომანისთვის დამახასიათებელი სასიყვარულო სცენები.

მე ამ მინირომანის შინაარსის მოყოლას არ შევუდგები. უბრალოდ, ვიტყვი, რომ ავტორმა მიზანმიმართულად „გაისროლა“ და ათიანში მოახვედრა კიდეც! ახლა ჩვენზე, მკითხველებზე და, ზოგადად, საქართველოს მოქალაქეებზე და მთავრობაზეა დამოკიდებული, **რამდენად ადეკვატურად აღვიქვამთ იმ საშიშროებას, რაც უჰანის ლაბორატორიაში შექმნილი ვირუსის პანდემიას შეიძლება მოჰყვეს საქართველოში. ვართ თუ არა მზად აუცილებელი პრევენციისთვის და შეგვიძლია თუ არა ობიექტურად განვასხვავოთ მტერ-მოყვარე ერთმანეთისგან?!**

ქ-ნ ლალის გადაჭარბებული „თავხედობა“ იმაშია, რომ მან მხატვრული ფორმით (თუმცა, დოკუმენტურად) კიდევ ერთხელ ამხილა ზესახელმწიფოთა ვერაგობა – მათი მზაკვრული მიზანი: ჩამოიშორონ პოლიტიკური მოწინააღმდეგენი და შეათხელონ სამყარო „ზედმეტი“ ადამიანებისგან.

რაც არ უნდა მოულოდნელი გვეჩვენოს, ავტორი ყურადღებას ამახვილებს 2020 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე და უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით, წინასაარჩევნო პერიოდში ერთგვარ ქაოსსაც აანონსებს, რაც პანიკაში ჩავარდნილი და ზედმეტი უარყოფითი ემოციებისგან დაუძლურებული საზოგადოების ხარჯზე შეიძლება მოხდეს!

ნიშანდობლივია, რომ მწერლის თვალსაწიერში ობიექტურად ამერიკა, ჩინეთი, ირანი, რუსეთ-თურქეთი მოექცა. თუმცა, ყველას თავ-თავიანთი მისია აქვთ!

წიგნის კითხვისას შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კორონავირუსი მხოლოდ მორიგი შხამია, რომელსაც დღეს კაცობრიობას „ასმევენ“. ხვალ შეიძლება უარესის მოლოდინშიც ვიყოთ.

არ ვიცი, დღეს რამდენად გამართლებულია გამოთქმა: **„ყველამ თავის მამიდას მიხედოს“,** მაგრამ, მე მაინც ჩემს ქვეყანაზე ვფიქრობ – წმინდა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოზე!..

ზედმეტი პანიკა არათუ ვირუსისგან გვიხსნის, არამედ, უფრო მეტად დაგვაინფიცირებს! აქედან გამომდინარე, ბევრი რამ არის დამოკიდებული ერის ნებაზე – დარჩეს უფლის მცნებების ერთგული და ამით გაორკეცოს წმინდა მარიამ ღვთისმშობლის შემწეობა. ამასთან, ბევრი რამ არის დამოკიდებული ხელისუფლების ლავირებაზეც – ყურადღებით მოისმინოს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის „რეკომენდაციები“ (არადა, დღეს ყველაზე მეტი საშიშროება ამ ორგანიზაციიდან მოდის), მაგრამ, აკეთოს ის, რაც ყველაზე მეტად დაიცავს საკუთარ ქვეყანას კორონა და სხვა მოსალოდნელი ვირუსებისგან.

როგორც ეკლესიის მრევლის წევრს, ღრმად მწამს და მჯერა: თუ ბოლომდე უფლის ერთგული დავრჩებით და ქრისტეს სხეულს – ეკლესიას კორონავირუსის შიშით ზურგს არ შევაქცევთ, საქართველოს ვერანაირი „ვირუსი“ ვერ დააჩოქებს!

ბოლოს კი ჩემს მოკრძალებულ სტატიას ისე დავასრულებ, როგორც დავიწყე: **ბრავო, ქალბატონო ლალი! თქვენ ჩემთვის გამბედაობისა და თავგანწირვის ცოცხალი მაგალითი ხართ!!!**

ზაურ ნაჭყებია

„ქალი სუყოველ მამაკაცის ცხოვრებაში მხოლოდ ერთია“,

– ასე ამბობდა კოკო შანელი

ქართულად გადმოაქნა გურამ გოგიაშვილმა

ცხოვრებაზე, მეგობრობასა და გრძნობებზე

პლაგიატი, ანუ მაკრატელა, აღტაცებასა და სიყვარულს ვარაუდობს.

* * *

გედ-იღგალს იმის მნიშვნელოვანი მიზეზი არა აქვს, რომ ყოველგვარი მიზეზის უქონლად გაიყოლოს ადამიანები.

* * *

დღე და ღამე საკერავ მანქანას ვუჯექი (თუმცაღა, ძალიანაც მომწონდა მაკრატელი), უქმე დღეებში სადმე სალონში ნაცნობებთან ერთად ყავას მივირთმევდი და ტკბილს რასმე ვაყოლებდი, თუ არადა, დოღს ვესწრებოდი, სხვათა მოდების სახლს ვნახულობდი... ვითომ არ ვმხიარულობდი? რა ვიცი, რას გაიგებ! მოწყენილობისგან სული მეხუთებოდა.

* * *

არ შეიძლება ღორმუცელობა, აგრეთვე ალკოჰოლის სმა, ერთიც და მეორეც ტან-სხეულს ანგრევს და ამასთანავე, იმედოვნებდე ისეთი ტან-სხეულის ქონას, რომელსაც უმნიშვნელო რამ ნგრევით შეეძლო მუშაობა.

* * *

შენი ტან-სხეულის მოვლა გულიდან უნდა დაიწყო, სხვანაირად ვერანაირი კოსმეტიკა ვერ გიშველის.

* * *

შეუგრალებლად უნდა ჩამოიცილო ყოველივე, რაც მეტისმეტია...

* * *

შეიცოდეთ თქვენივე თავი: შეიცოდეთ ყურები, თვალები, თქვენი აზრები. განა შუაღამის მერმე ასეთი რა ღირებული თუ ფასეული რამ უნდა გაიგონოთ, რაც შეიძლება, რომ ჯანსაღ ძილზე მეტად დააფასოთ. ეს დიდი-დიდი ინფორმაცია იყვეს რამე, რომელიც ოდესღაც მოგისმენია და თანაც, კიდევ არაერთხელ.

* * *

ნამდვილი დიდსულოვნება ის არის, თუ ვისმე უმადურობას შეუნდობ.

* * *

თუ უფრთებო დაიბადე, ხელს მაინც ნუ უშლი, რომ ახლა წამოგეზარდონ.

* * *

ერიდეთ ისეთ ადამიანთ, ვინც გონებით დაჯილდოებულია, ოღონდ პრაქტიკულად მოკლებულნი არიან საღ აზრს. ისინი ჩვენ გარშემო ყველგან არიან.

* * *

პირადი დამოუკიდებლობისთვის არცროდის ბევრი ფული ზედმეტი არ იქნება.

* * *

ყოვლის უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცხოვრებაში საკუთარ თავზე ფიქრია, ფიქრი ყოველთა გასაგონად.

* * *

სუსტ, ფაფასუა ადამიანთ, როგორც წესი, თავიანთი უპირატესობით ტრაბახი სჩვევიათ, რა უპირატესობაც მხოლოდ შემთხვევას ძალუძს, რომ მისცეს.

* * *

მშვენიერი რჩება, ლამაზი ადრე თუ გვიან გადივლის.

მოდასა და სუნამოებზე

კი, მაქსიმალურად მხიარულ კოლექციას შევქმნი, რაც აუცილებელია, რადგან საქმე ცუდად მიგვდის.

* * *

ძალიან ნუ იგულმოდგინებთ თეთრი ფერის გამოყენებისა, ნაღებში ჩაფლული ეგონებით.

* * *

მოდა იქმნება რომელიმე თავშესაქცევი ერთდღიანი იდეის საფუძველზე, ამიტომ უნდა გამოიყენო და მოისროლო.

* * *

არა მგონია, რომ ქალები გრძელ კაბებს მიუბრუნდებიან (ზამთრის კოლექციას). ძნელია დღევანდელი ცხოვრების წესის შესაფერისი რისამე პოვნა; პარიზი ავტომობილებით იხრჩობა, გარშემო ყველგან ჭედვაა, ავტომობილები კი კიდევ მაინც იყიდება; იგებ, რომ სუყოველ კვირას ასობით ადამიანი იღუპება, შიში მიპყრობს, გარეთ გასვლისა მეშინია. ჩემს თავს ვეუბნები: შინ იჯექი-მეთქი.

* * *

ყოველთვის უნდა ეცადო, რაცა ხარ, იმად დარჩე, უცილობლად კეთილი რამ უნდა ქმნა. იმათ კი ყოველივეს ყირამალა დაყენება უნდათ, ოღონდ ამასთანავე არ უწყიან, სახელდობრ, რა უნდა ქნან. არადა, მოდა ძირფესვიანად რომ შეცვალოთ, მარტო ქვედატანის დამოკლება არ კმარა.

* * *

ფრანგული მოდა ფრანგ ქალთათვის არსებობდა, როცა რამდენიმე ადამიანი იმას ქმნიდა და მერე იმას ასლად იღებდა საგანგებო დაწესებულებაში.

* * *

კოკო შანელმა შეიტყო, რომ კარდენმა დაამოკლა ქვედაბოლოები:

– მით უფრო მეტს იცინებენ. ერთი აყლაყუდა ქალი ვნახე, თავს ფეხებით იწონებდა. არადა, გონჯი ფეხები ჰქონდა. ვფიქრობდი, ჩემო გოგონი, ვისმე ისეთ ბრიყვს იპოვნიდი, რომელსაც ცოლად გაჰყვებოდი! ქალიშვილი რომ მყოლოდა, მუხლების გამოჩენას არ დავუშლიდი, თუ ძალიან ლამაზი მუხლები ექნებოდა.

* * *

ასი ქალიდან მხოლოდ ერთსა აქვს ლამაზი მუხლები.

* * *

...მე ძალიან გულუხვი ვარ. ამერიკაში მაღალყელიან წინდებქვეშ პლასტმასის მუხლებს იდებენ. მალე სულ პლასტმასისა იქნება. არცრა ამ მოკლე კაბებზე უფრო მახინჯი არა მინახავს რა. ქალები თვალაცრემლებულნი დაიწყებენ თხოვნას, ცოტა მეტი ქსოვილი მოგვეცითო.

* * *

დაყნოსეთ ჩემი ახალი სუნამო, ახლა არ იციან სუნამოთა დამზადება... არცრა არ იციან.

* * *

მეტი პატივი მომაგეთ: მე სეზონურ ხელოვნებას წარმოგიდგენთ.

* * *

დღევანდელი პარიზის ქუჩების მოდა ქალის ქვედაბოლოთა სიგრძის საკითხია. მოდური მოდა დასაღუპად განწირულია, იმას ხომ კაცები ხელმძღვანელობენ. იმათ ქალები არ უყვართ და თავიანთი კოლექციებით ამასხარავებენ ქალებს.

* * *

მინი-ქვედაგოლოები... უაზრობა და სიბინძურეა... ქალები თავიანთი წარმდინარე კაბებით ისედაც წმენდენ მტვერსა და პატარა პარიზის ქუჩების ტალახს, თანაც კიდევ თეძოებს იფარავენ.

არ შეიძლება კაბების როგორც წმინდა რამ საჩუქრების გამჩვენეობა.

* * *

ესპიზები, სურათები ტან-სხეული არ არის. მე არც ქაღალდის ნაგლეჯებსა და არც ბილეთებს ვყიდი.

* * *

სილამაზე უბრალოებაშია.

* * *

სიპოხტავე სიგონჯეზე უარია.

* * *

მორთულობისთვის მთელი დროის დათმობა არა ღირს. საკმარისია მხოლოდ ორი-სამი ტალავარი, სამოსელზე ვამბობ, თუკი ყოველმხრივ უზადოა.

* * *

ბევრი ფიქრობს, მოდა მარტო ახალგაზრდებისთვის არისო. ეს არასწორი და სრული უაზრობაა. არ არის მოდა მარტო ახალგაზრდებისთვის, ანდა მარტო ძველგაზრდებისთვის. ეს ადამიანები ყველაფერს ერთმანეთში ურევენ, თვით სილამაზესაც. ხანისად თვითონ მოდაა სულელური, ასეთ დროს ადამიანები უგულებელყოფენ ამგვარ მოდას. ასეთი რამ მაშინაც ხდება, როცა მოდა უშნო და ულამაზოა. ხან იმის სურვილი გვიჩნდება, რომ ვკითხოთ ახალგაზრდა მოდელიორთ, თქვენთვის მოდა რა არისო. ალბათ, ვერცვინ დარწმუნებულ პასუხს ვერ გაგვცემდა. რაც შეეხება მთელი ქვეყნის მოდას, ეს ამ ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების წესი და სამოსელზე შეხედულებაა. ყველაფერზე მიდიან იმის გულისთვის, რომ ფრანგ ქალთ ისე ეცვათ და თანაც ისე გამოიყურებოდნენ, ისინი როგორც იცვამენ და გამოიყურებიან სრულიად საფრანგეთში. მოდელიორთ უნდათ, რომ თავიანთი კოლექციები საზღვარგარეთ გაყიდონ, მხოლოდ ამაზე ფიქრობენ, რამეთუ დიდი წარმოდგენისანი არიან თავიანთ თავზე.

* * *

გახსოვდეთ, მოდა მარტო სამოსელი არ არის, მოდა ყველგან არის: ცაში, ქუჩაში, აზრებში, ცხოვრების წესში, იმაში, რაც ახლა ხდება ჩვენ გარშემო.

* * *

როცა ისე ხდება, რომ მოდის ასლის გადაღება შეუძლებელია, ეს მოდა „სალონური მოდა“ ხდება.

* * *

არცრა უფრო სულელურია, ვიდრე უბრალოებისა და სიღატაკის ერთმანეთში აღრევაა. მითხარით ერთი, ყოველის უფრო საუკეთესო ქსოვილისგან შეკერილ სამოსელს, მდიდრულსარჩულიანს, სიღარიბის შთაბეჭდილება მოეხდინოს, თანაც თუ არც აქსესუარები რამ აკლიათ, რა აქსესუარებიც მე შემოვიღე: ძეწკვები, ფარღულები, სპეკალები, გულის ქინძისთავები, ყოველივე, რაც აგრერიგად ამშვენებს ქალს და აგრე იაფი ღირს, რადგან ეს ყველაფერი ნაყალბევია. ეს ღარიბი გოგონას საწინააღმდეგოა. ჩემი წყალობით, იმათ მილიარდერ ქალებად შეუძლიათ თავის მოწონება.

* * *

მეპლისზე ჩემი მეგობრის ბაიბი ფლამინის თხოვნით წავედი, რომელიც ძალზე საყვარელი, რბილი, მომთმენი კაცი იყო. მე ძალიან ვუყვარდი, ლოჟაში ვისხედით. იმხანად საპირფარეშოები საზიზღრად იყო შეღებილი. დარბაზს რომ მოვავლე თვალი, გამეცინა და ფლამანს ვუთხარი: „ეს შეუძლებელია! საშინელი რამ ფერებია, ქალებს გვიმახინჯებენ. ვფიქრობ, უნდა გავაშავოსნოთ ჩვენი ქალები“.

...თქმა და ქმნა ერთი იყო, და ამან მთელი რომანები წარმოშვა. ქალბატონმა ელზა მაქსვეელმა ნიუ-იორკის ერთ-ერთ ჟურნალში დაწერა: ვინაიდან ბოი კეიპელის სიკვდილის გამო შავად ვერ შევიმოსე, რადგან ჯვარდაწერილნი არ ვიყავით, თავი გაიშავოსნა მთელმა მსოფლიომო. რა უხეირო გემოვნებაა!

* * *

არცრა ისე სწრაფად არ გამოდის მოდიდან, როგორც რომ დაჭვარჭვალიტებული ვიწრო, წარმდინარე გრძელი კაბა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39-44, 46-48

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲓᲔᲖᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲐ!

ᲛᲘᲗᲘᲔᲑᲘ, ტყუილები, მცდარი ინფორმაცია, შეთქმულების თეორიები — კორონავირუსით გამოწვეულმა გლობალურმა ეპიდემიამ დეზინფორმაციის გამავრცელებლებს გზა ფართოდ გაუხსნა. თუკი დეზინფორმაციის ერთი ნაწილი უბრალოდ მცდარ ცნობებს ეყრდნობა და ადამიანები მას ცუდი განზრახვის გარეშე ავრცელებენ, მეორე ნაწილი ხშირად კრემლიდან მოდის და მსოფლიოში ანტიდასავლური განწყობების გაღვივებას და საინფორმაციო ქაოსის შექმნას ცდილობს.



რუსეთი ძველ მეთოდებს ახალ ფრონტზე უკვე აქტიურად იყენებს. კოვიდ-19-ის ეპიდემია კრიზისია დანარჩენი მსოფლიოსთვის, კრემლისთვის კი ახალი შესაძლებლობა. ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ანგარიშში, რომელიც ჟურნალისტებმა მოიპოვეს, რუსეთის მთავრობის მხარდამჭერი მედია კორონავირუსის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებს და ევროპის მოსახლეობის დაბნევას, გახლეჩას და უნდობლობის დათესვას ცდილობს. დეზინფორმაცია ძირითადად ევროპულ ენებზე, ინგლისურად, გერმანულად, ესპანურად და ფრანგულად ვრცელდება.

„ჩვენ შევნიშნეთ გარედან მომავალი დეზინფორმაციის მასშტაბების ზრდა. მათ შორისაა რუსეთის, ან რუსეთში მოქმედი პროვაიდერების, ან პროსამთავრობო აქტორებთან დაკავშირებული ძალები“, — **პიტერ სტანო,** ევროკავშირის საგარეო საქმეთა პრესსპიკერი. **„საზოგადოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, იცოდეს ამის შესახებ, რადგანაც ვინც უნდა იდგეს ამის უკან, და რუსეთი არ არის მცდარი ინფორმაციის ერთადერთი წყარო, ის, ვინც დეზინფორმაციას ავრცელებს, ფაქტობრივად, ადამიანების სიცოცხლით თამაშობს“,** — განმარტავს სტანო.

თუმცა კრემლი ბრალდებებს უარყოფს. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის **მარია ზახაროვას** განცხადებით, ევროკავშირი რუსეთს დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებს.

დეზინფორმაციის ავტორები, მიმართულება და შინაარსი განსხვავებულია. ზოგი ფიქრობს, რომ ვირუსი ჩინეთმა ჰონგ-კონგის პროტესტის გადასაფარად განზრახ გაავრცელა, ზოგს ის დასავლურ ლაბორატორიებში დამუშავებული მასობრივი განადგურების იარაღი ჰგონია. ჩინური და რუსული წყაროების მქონე აქტორები კი დასავლურ დემოკრატიებს და ღირებულებებს აკრიტიკებენ, თანაც ერთმანეთის მსგავსი გზავნილებით.

ედვარდ ლუკასი, „ევროპის პოლიტიკის ანალიზის ცენტრიდან“ ამბობს, რომ დეზინფორმაციული ნარატივების ერთ-ერთი წამყვანი თემა ისაა, რომ თითქოსდა ყველაფერში დამნაშავე ამერიკაა:

„ერთ-ერთი პოპულარული (დეზინფორმაციის) ვერსიით, თითქოს უჰანში ვირუსი ამერიკელებმა ჩაიტანეს, ახლა კი ამის დაფარვას ცდილობენ. და ეს არაა მხოლოდ შეთქმულების თეორია — ამას ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი წარმომადგენელი ამბობს, შემდეგ კი მას სხვა დიპლომატებიც ეთანხმებიან. კიდევ ერთი თემა ისაა, რომ ეპიდემიით ამერიკა მსოფლიოში ჩინეთის გავლენის ზრდას უპირისპირდება. გერმანიაში კი ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ვაშინგტონს ვაქცინის მონოპოლიზირება სურს, კაპიტალისტებს კი მისით გამდიდრება“, — ამბობს ლუკასი.

პოლიტიკური თუ სხვა მიზნის მქონე მოთამაშეები თუ უბრალოდ ადამიანები, რომელთაც საკმარისი და სანდო ინფორმაცია არა აქვთ, ხშირად მსოფლიოს ერთი შეხედვით დაუჯერებელ ცნობებს აწვდიან. მაგრამ პანიკის, შიშის თუ სხვა მიზეზების გამო, ასეთი დაუჯერებელი საშუალებები ზოგს სიცოცხლის ფასად უჯდება. ირანში 24 ადამიანი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც გავრცელდა ყალბი ცნობები, თითქოსდა სპირტით ვირუსით ინფიცირების პრევენცია შეიძლებოდა.

კრისტინა ტარდაგუილა პოინტერის ინსტიტუტის „ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის“ ასოცირებული დირექტორი, „ამერიკის ხმასთან“ საუბარში ამბობს, რომ დეზინფორმაციის შედეგები და მისით გამოწვეული ზიანი განსაკუთრებით დიდია, როდესაც საუბარი ჯანდაცვის საკითხებს შეეხება, რადგან ამ, ზოგჯერ ყალბ ცნობებზე დაყრდნობით, ადამიანები სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებენ: **„ყალბი ინფორმაციის გამავრცელებლები ყოველთვის ეცდებიან, გაგასულელონ. ისინი ცდილობენ, მიწვდნენ თქვენს სურვილებს, შიშებს, რწმენებს. ისინი ეცდებიან, ისეთი ინფორმაცია მოგაწოდონ, რომლის სამიზნეც თქვენი გრძნობებია და არა — გონება“,** — ამბობს ტარდაგუილა. **„გახსოვდეთ, ადამიანები ცდილობენ, რაღაცები დაგაჯერონ. ისინი ეცდებიან, შეეხონ თქვენს ემოციურ წერტილებს ისე, რომ ეს ვერც შენიშნოთ. ამიტომ თავად იფიქრეთ, რისი გეშინიათ? ეცადეთ, გაიგოთ, რა გინდათ ყველაზე მეტად? ალბათ ახლა ყველას ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა, მისგან განკურნების საშუალება გვინდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პირველივე მესიჯი, რომელსაც „ვოთს აპში“ ან სხვაგან მიიღებთ, ამის შესახებ სანდო წყარო იქნება და განკურნების საშუალებას შემოგთავაზებთ“,** — განმარტავს ბრაზილიელი ექსპერტი.

ყალბი ცნობების ანალიტიკოსი ამბობს, რომ დეზინფორმაციას ახლა მედიასაშუალებები და სოციალური მედიის კომპანიები, პლატფორმები, ერთად უნდა ებრძოლონ, რადგან მათი მთავარი მეტოქე სწორედ დეზინფორმაციაა და არა — ერთმანეთი.

ᲔᲙᲐ ᲛᲐᲚᲐᲚᲓᲐᲫᲔ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ

ᲗᲔᲗᲠ სახლში გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის ლიდერმა აღნიშნა, რომ მისი ადმინისტრაცია იმუშავებს იმაზე, რომ ადგილობრივმა ეკონომიკამ ფრთხილად განაახლოს საქმიანობა.

„ჯანდაცვის სფეროში ჩვენი შესანიშნავი ექსპერტები სწავლობენ ამ დაავადებას ქვეყნის მასშტაბით და ჩვენ გამოვიყენებთ ამ მონაცემებს, რათა რეკომენდაცია გავუწიოთ ახალ პროტოკოლებს და საშუალება მივცეთ ადგილობრივ ეკონომიკას, ფრთხილად განაახლოს საქმიანობა საჭირო დროს. ჩვენი ქვეყანა იმისთვის არ შექმნილა, რომ დახურული იყოს. ამერიკა ძალიან მალე კვლავ ღია იქნება ბიზნესისთვის“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა.

ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ნიუ იორკის შტატის გუბერნატორის ენდრიუ კუომოს განცხადებით, ნიუ იორკის შტატში კორონავირუსით მოსახლეობის 40-80 პროცენტი დაინფიცირდება. როგორც გუბერნატორმა ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, ნიუ იორკის შტატში ახალი ტიპის კორონავირუსის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქ ნიუ იორკში ფიქსირდება.



კუომოს განმარტებით, რაც უფრო მეტ ტესტს ატარებენ, ინფიცირებულების რიცხვი სულ უფრო იზრდება და მომავალში ვირუსით შტატის მოსახლეობის 40-80 პროცენტი დაინფიცირდება. ეს მაჩვენებელი კი 7,8-15,6 მილიონამდე ადამიანს უდრის. როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, მათი მიზანი ამ სწრაფი გავრცელების შეჩერებაა. თუმცა, დაამატა, რომ ამას თვეები დასჭირდება.

ენდრიუ კუომოს განმარტებით, ამ ვითარებიდან გამომდინარე აუცილებელია, გაიზარდოს საავადმყოფოების რაოდენობა, რათა მათ ყველა დაავადებულ ადამიანს აღმოუჩინონ დახმარება.

ᲗᲣ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲐᲠ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ, ᲮᲐᲚᲮᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ მერმა ბილ დე ბლაზიომ კორონავირუსის პანდემიასთან ბრძოლის კუთხით აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქმედებები მკაცრად გააკრიტიკა.

მისი თქმით, ფედერალურმა მთავრობამ საკმარისი ზომები არ გაატარა, რომ პირბადეებისა და ხელოვნური სუნთქვის აპარატების წარმოება გაეზარდა.

„აშშ-ის პრეზიდენტი ნიუ-იორკიდანაა და თითსაც კი არ გაანძრევს, რომ თავის მშობლიურ ქალაქს დაეხმაროს და ეს უბრალოდ არ მესმის. არაერთხელ მოვითხოვე, რომ მოხდეს სამხედროების მობილიზება, მოვითხოვე ხელოვნური სუნთქვის აპარატების გამოყოფა. თუ პრეზიდენტი არ იმოქმედებს, ხალხი, ხანდაზმული ასაკის მოქალაქეები, ჩვენი ოჯახის წევრები დაიღუპებიან“, — განაცხადა ნიუ-იორკის მერმა.

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ 30 ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ

72 ᲬᲚᲘᲡ მღვდელი ჯუზეპე ბერარდელი, რომელიც ბერგამოს პროვინციაში პატარა ქალაქ კასნიგოს ეკლესიაში მსახურობდა კორონავირუსით გარდაიცვალა.

ბერგამოს ყველა საავადმყოფო კორონავირუსით ინფიცირებულებითაა სავსე. ექიმებს არ ჰყოფნით რესპირატორები და ხელოვნური სუნთქვის აპარატები. როგორც იტალიური გამოცემა TGCOM-24 წერს ჯუზეპე ბერარდელმა თავისი რესპირატორი მასზე ახალგაზრდა უცნობ პაციენტს დაუთმო.

მას შემდეგ რაც მღვდელს კორონავირუსი დაუდგინეს და საავადმყოფოში მოათავსეს, მრევლმა ჯუზეპე ბერარდელისათვის ფული შეაგროვა და რესპირატორი თავისი სახსრებით იყიდა. თუმცა მღვდელმა უარი თქვა რესპირატორის გამოყენებაზე და ის სხვას დაუთმო.



„ის იყო უშუალო ადამიანი. ეხმარებოდა ყველას, მორწმუნეებსაც და არამორწმუნეებსაც. შეხვედრისას ის ასე ესალმებოდა ხალხს — „მშვიდობა და სიკეთე“. ის ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო ყველასადმი და უამრავი საქველმოქმედო აქცია აქვს ჩატარებული. მას უყვარდა ყველა. მისი მრევლის ყოფილი წევრები, წლების მანძილზე ჩამოდიოდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან რომ პადრე ენახათ. მას წარმოუდგენელი უნარები ჰქონდა მრევლის წევრების ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად. დონ ჯუზეპე მოკვდა, როგორც მღვდელი“, — წერს მღვდლის შესახებ ქალაქ კასნიგოს მერი ჯუზეპე იმბერტი.

დონ ჯუზეპე ბერარდელი ლოვერეს საავადმყოფოში 23 მარტს გარდაიცვალა. COVID-19-ის ეპიდაფეთქების შემდეგ იტალიაში ვირუსით სულ 30 მღვდელი გარდაიცვალა, მათგან 16 ბერგამოს პროვინციიდან იყო.

ᲣᲡᲣᲚᲒᲣᲚᲝᲑᲐᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲨᲘ, მოხუცებულთა თავშესაფარში ჯარისკაცებმა გარდაცვლილი მოხუცების ცხედრები იპოვეს.

სავარაუდოდ, მოხუცები თავშესაფრის მომსახურე პერსონალმა მიატოვა. მომხდართან დაკავშირებით ესპანეთის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

ცნობისათვის, ესპანეთში კორონავირუსით 35 136 ადამიანია ინფიცირებული. ბოლო მონაცემებით, ვირუსმა 2 311 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

დაბნეული პარტიები ცეცხლს ეთამაშებიან!..

იმ ფონზე, როცა საქართველოში ყველა მოელის დიდ ოპოზიციურ განხეთქილებას, ცალკეული პოლიტიკოსები ოპოზიციური ერთობის იმედს არ კარგავენ. გუბაზ სანიკიძე იმედოვნებს, რომ დიდი ოპოზიციური გაერთიანება უნდა მოხდეს და მორატორიუმი გამოცხადდეს წარსულზე.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა გუბაზ სანიკიძე დიდ ოპოზიციურ გაერთიანებაზე საუბრობს. ჯერ კიდევ 2016 წელს, როცა გუბაზ სანიკიძემ „ეროვნული ფორუმი“ დატოვა, იგი საუბრობდა, რომ რჩებოდა დიდ პოლიტიკაში და ხელს შეუწყობდა დიდი ოპოზიციური გაერთიანების ჩამოყალიბებას.

მისი სურვილის მიუხედავად, დიდი ოპოზიციური გაერთიანება ვერ მოხერხდა და მივიღეთ მხოლოდ ე.წ. გაერთიანებული ოპოზიცია, სადაც ყველამ კარგად იცის, რომ ლოკომოტივი „ნაცებსა“ და „ევრონაცებს“ მიჰყავთ. ამ ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაშიც პირველობის გამო შიდა დაპირისპირებაა, რაც დღის სინათლეზე არ გამოაქვთ. ამ მხრივ ერთადერთი გამონაკლისია თაკო ჩარკვიანი, რომელიც პერიოდულად ნინო ბურჯანაძისთვის „იცლის“. ჯერ იყო და, თაკო ჩარკვიანმა ოპოზიციის ერთობა ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტის გამო დატოვა, ახლა კი ისევ ნინო ბურჯანაძის გამო შემოსწყრა „ნაციონალებს“: „როგორ ბედავთ, სამოქალაქო ომის და 500 კაცის დახოცვის და გრუ-ს ჯარების შემოყვანის მოსურნეებთან კოლაბორაციონიზმს!“ ამ სიტყვებთან ერთად თაკო ჩარკვიანმა ბურჯანაძეს „ქალი-პუტინი კაბაში“ უწოდა და არც გიგა ბოკერია დაინდო, როცა დაასკვნა: „კიდევ კარგად ყოფილა სააკაშვილი ამათ ხელში, ერთ მხარეს პარლამენტის თავმჯდომარე, „ქალი-პუტინი კაბაში“ ეჯდა, ხოლო მეორე მხარეს უშიშროების საბჭოს მდივნად ბოკერია“.

რა პროცესები მიმდინარეობს ოპოზიციაში და შედგება თუ არა დიდი ოპოზიციური განხეთქილება?! ამის შესახებ ანალიტიკოსი ვახტანგ მაისაია გვესაუბრება.

ბოლშევიზმის სინდრომი ნაცმოძრაობაში

„სააკაშვილი ახლა გავიდა კრემლის ლიბერალურ ფრთაზე და მიშუსტინის დაჯგუფების მფარველობის ქვეშაა“

— როგორ გესახებათ დიდი ოპოზიციური გაერთიანება 1%-იანი ბარიერის პირობებში, როცა ოპოზიციის დაქსაქსვისკენ უფრო მიდის საქმე? ოპოზიციის დაშლის პირველი ნიშნები უკვე ჩანს, რადგან ოპოზიცია ერთმანეთის საწინააღმდეგოდ აკეთებს განცხადებებს.

— რა თქმა უნდა, 1%-იანი ბარიერი გაერთიანებულ ოპოზიციას ძირს უთხრის. ყველას გაუჩნდება იმის სურვილი, თუნდაც ერთი ადამიანი მაინც შევიდეს პარლამენტში. საქართველოში პიროვნული ამბიციების დაავადებაა გავრცელებული. ამას შეიძლება პოლიტიკური პანდემიაც დავარქვათ. პიროვნული ამბიციები ყველა პოლიტიკურ პარტიას, მით უმეტეს, ამ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს აქვთ. მათ ურჩევნიათ, თვითონ მოხვდნენ პარლამენტში და სხვები ნაკლებად გაითვალისწინონ. ახლა მათ უნიკალური შანსი ეძლევათ, მოხვდნენ პარლამენტში, როგორც ეს მოხდა 1992 წელს. აქ მთავარია, როგორ შეძლებს „ქართული ოცნება“ უმრავლესობის მოპოვებას.

დიდი ოპოზიციური გაერთიანება ამ ეტაპზე ვერ შედგება. 1%-იანი ბარიერის დაწესება და 5%-იანი ბარიერის მოხსნა ასეთ საშუალებას არ იძლევა. ეს დაგებული მახეა ოპოზიციისთვის. სიტყვაზე, „ნაცმოძრაობა“ თავისი მომხრეების 10%-ს აიღებს. არ ვიცი, „ევროპული საქართველო“ რამდენ ხმას აიღებს, მაგრამ „ნაცმოძრაობაში“ სერიოზული კრიზისია და ეს აშკარაა. „ნაცმოძრაობა“ ახლა ძალიან ჰგავს რუსეთის ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც 1925-დან 1930 წლის განმავლობაში არსებობდა. ზუსტად ეს არის კლასიკური მაგალითი, როდესაც თვითონ შიგნით ტროცკიმ შექმნა თავისი ოპოზიცია. წარმოიდგინეთ, ბოლშევიკური რუსეთის სახელმწიფოს მეთაურმა, რომელიც იყო სახელმწიფო უმაღლესი თანამდებობის პირი, ანუ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე და რევოლუციური სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე, ბოლშევიკურ პარტიაში თავად შექმნა ოპოზიცია და დაუპირისპირდა ნომენკლატურას — სტალინისა და ბუხარინის შემადგენლობას. ამან გამოიწვია შიდა კლანური დაპირისპირება და მერე უკვე ამ დაპირისპირებაში ახალი ლიდერი გამოჩნდა იოსებ სტალინი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ხელისუფლება. დიდი შანსია, ასეთივე სიტუაცია განმეორდეს „ნაცმოძრაობაშიც“.

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც იძულებით ემიგრაციაშია, უკვე საბოლოოდ „დაapაშოლონ“ ემიგრაციაში ისევე, როგორც ეს ტროცკის მოუწია. გინესის წიგნშია შესაყვანი, რომ ასეთი კურიოზული რამ მოხდა ბოლშევიკურ პარტიაში და განმეორდა „ნაცმოძრაობაში“, რადგან სააკაშვილი, ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერი, საკუთარ პარტიაში ქმნის ოპოზიციას. ეს ნიშნავს, რომ ბოლშევიზაციის სინდრომი აიკიდა „ნაცმოძრაობამ“.

— თქვენი აზრით, რაში გამოიხატება ოპოზიციის დაქსაქსვა?

— ფაქტია, ოპოზიცია დაიყო, აქ აშკარად ვაშაძისა და მიხეილ სააკაშვილის პირდაპირი ბრძოლაა. ამ ბრძოლაში ცალკე გამოდის ნიკა მელიას დაჯგუფება. როგორც ჩანს, სამადაშვილი და სხვები აპირებენ გადახტნენ „ევროპული საქართველოს“ ნავში. ეს ტენდენცია უკვე ჩანს.

— ვინ იქნება ახალი იოსებ სტალინი „ნაცმოძრაობისთვის“?

— ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ სააკაშვილი იმდენს იჩალიჩებს, საკუთარი პარტიიდანაც გარიყავენ და დარჩება სამუდამო ემიგრაციაში. მეორე ვარიანტია, რომ „ევროპულ საქართველოს“, გარკვეულწილად, ამერიკელების მხარდაჭერა გააჩნია, კერძოდ, ნეოკონსერვატორების დაჯგუფების მხარდაჭერა. როგორც ჩანს, „ევროპულ საქართველოს“ ამის იმედი აქვს, რომ ამ მხარდაჭერის საფუძველზე გაქაჩავენ. იმ ფონზე, როცა „ნაცმოძრაობაში“ დაიწყება სერიოზული კრიზისი და ბოლშევიზაციის სინდრომი, „ევროპული საქართველო“ შეეცდება ინიციატივის აღებას და დაითრევს „ნაცმოძრაობის“ ელექტორატს. უბრალოდ, აქ ბოკერიას ფაქტორია ხელშემშლელი. ბოკერიას აქვს ამერიკული მხარდაჭერა, მაგრამ შესაძლოა, ამან ვერ იმუშაოს და „ევროპულმა საქართველომ“ „ნაცმოძრაობის“ ხმებიც კი ვერ აიღოს მისი ფაქტორის გამო.

— სხვათა შორის, თამაშგარე მდგომარეობაშია პოლონეთში წასული ვანო მერაბიშვილი. კარგა ხანია, იგი არ ჩანს.

— ვანო მერაბიშვილის „ტრიუმფი“ ევროპაში ჩავარდა. მას ეგონა, ფსიქოლოგიურ პრობლემას გადალახავდა, მაგრამ ევროპულმა ვოიაჟმა კიდევ უფრო გაუღრმავა ფსიქოლოგიური პრობლემები.

— ამბობდნენ, რომ მერაბიშვილი ევროპაში სააკაშვილთან შეხვერდას აპირებდა. როგორ გგონიათ, სურდა კი მერაბიშვილს შეხვედრა სააკაშვილთან და რა ჰქონდა სათქმელი მისთვის?

— სააკაშვილი და მერაბიშვილი ფაქტობრივად თამაშობენ ერთსა და იმავე თამაშს, ისინი არიან კრემლის ფავორიტები. ის, რომ მერაბიშვილი ბელორუსიის ჩეკისტების მეშვეობით გადიოდა რუსულ ძალოვან ფიგურებზე, ეს დამტკიცებული ფაქტია. სააკაშვილი ახლა გავიდა კრემლის ლიბერალურ ფრთაზე და მიშუსტინის დაჯგუფების მფარველობის ქვეშაა. მართალია, სააკაშვილი და მერაბიშვილი ერთმანეთის მოწინააღმდეგეები არიან, რადგან ერთი ერთ დაჯგუფებას წარმოადგენს, მეორე — მეორე დაჯგუფებას, მაგრამ შეიძლება ერთმა საგარეო პოლიტიკურმა ვექტორმა და ერთი პატრონის არსებობამ ეს ორი ადამიანი გააერთიანოს. თუმცა ვითარებას ის ართულებს, რომ მერაბიშვილს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს და, როგორც ჩანს, აქედან ვერც გამოვა. მერაბიშვილი უკვე ჩამოწერილი სუბიექტია, მას სერიოზულად არავინ უყურებს. სააკაშვილისთვის მერაბიშვილი სანაგვეშია გადაგდებული. სააკაშვილი მას არც უყურებს, მერაბიშვილს სერიოზულად არ განიხილავს არც ბოკერიას დაჯგუფება. „ნაცმოძრაობაში“ სერიოზული დაპირისპირება და კრიზისია. „ევროპულ საქართველოშიც“ ეს კრიზისი უკვე იჩენს თავს. მათ ამერიკის მხარდაჭერამ, ანუ ნეოკონსერვატორების ჯგუფის მხარდაჭერამაც შეიძლება ვერ უშველოს, რადგან საქართველოში ელექტორალური მხარდაჭერა არ გააჩნიათ. სხვათა შორის, „ევროპულმა საქართველომ“ იმიტომ მოახდინა ვითომდა ოპოზიციის გაერთიანება, რომ მათ ეგონათ, ამ გაერთიანების მეშვეობით ხელში ჩაიგდებდნენ „ნაცმოძრაობის“ ელექტორატს. დღეს, ფაქტობრივად, ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში თითოკაციანი პარტიები დარჩნენ, ბაჩუკი ქარდავები და სხვები, ასევე, პრორუსული პარტია ნინო ბურჯანაძის და სხვების სახით. ბურჯანაძესა და სააკაშვილს რა აქვთ საერთო, ეს გასაგებია — მოსკოვის პირდაპირი მფარველობა, დანარჩენი თითოკაციანი პარტიები კი გაერთიანდნენ „ნაცმოძრაობის“ ელექტორატის მისაღებად. ორ მთავარ დაჯგუფებას შორის „ევროპულ საქართველოსა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის შიდა კრიზისი უკვე არსებობს. „ევროპულ საქართველოში“ ეს კრიზისი იმის გამოცაა, რომ ისინი, ფაქტობრივად, ვერ ჩაებღაუჭებიან „ნაცმოძრაობის“ ელექტორატს, ეს შეიძლება მათთვის სერიოზული დარტყმის საგანი იყოს და „ნაცმოძრაობის“ ელექტორატს გაუჩნდეს ფრუსტრაციული განწყობები.

არც „ქართული ოცნებაა“ ჰომოგენური, იქაც სერიოზული პრობლემებია, „ქართულმა ოცნებამ“ უკან დაიხია და ეს უკანდახევა „ოცნების“ დარჩენილ ელექტორატზე დიდ გავლენას იქონიებს. სიტუაცია კიდევ უფრო ბუნდოვანია, ვიდრე მანამდე. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიას — „ლელოს“ და „პატრიოტთა ალიანსს“, მათ რაღაც შანსები ეზრდებათ, იმ ფონზე, რაც არის მმართველ პოლიტიკურ ძალაში და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციაში.

ესაუბრება
მანანა ნოზაძე

საქართველოს 3000 მოქალაქე დავაბრუნეთ სამშობლოში

ჩვენ ძალიან რთული გამოწვევის წინაშე ვდგავართ. მთელი რიგი ავიაკომპანიები წყვეტენ საჰაერო მიმოსვლას. ბევრი ქვეყნის საჰაერო სივრცე დაკეტილია. ამ რთულ პირობებში საქართველოს 3000 მოქალაქე დავაბრუნეთ სამშობლოში. ეს ეკონომიკურად ძლიერმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს, — ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა.

ზალკალიანის განცხადებით, მოქალაქეების ჩამოყვანის პროცესი უცხოეთიდან გრძელდება. „თვენახევრის წინათ ჩინეთიდან ჩარტერული რეისით თურქული და ფრანგული კომპანიის დახმარებით გამოვიყვანეთ. ასევე მოქალაქეები გამოვიყვანეთ იტალიიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, ჰოლანდიიდან, ეგვიპტიდან რამდენიმე სტუდენტი და ეს პროცესი გრძელდება“, — აღნიშნა ზალკალიანმა.

საფეხბურთო მოზაიკა

ტაშკენტის „ფახთაქორის“ მთავარმა მწვრთნელმა **შოთა არველაძემ** სოციალური ქსელის მეშვეობით სტამბოლის „გალათასარაის“ მთავარი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი გაამხნევა, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობას სახლში დარჩენისკენ მოუწოდა.

„დარჩი ძლიერი, ფათიჰ თერიმ! ფრთხილად იყავით საქართველოში, თურქეთში, იტალიაში, ესპანეთსა და მთელ მსოფლიოში. დარჩით სახლში და გადაირჩინეთ სიცოცხლე“, — დაწერა შოთამ.

შეგახსენებთ, რომ ფათიჰ თერიმს კორონავირუსი გუშინ დაუდასტურდა.

მსოფლიოში კორონავირუსის გამო დღის წესრიგი სრულად შეიცვალა და ახლა ყველაფერი პანდემიის გარშემო ხდება.

COVID-19-ს ებრძვიან ინგლისშიც, სადაც მოხუცები საკუთარ სახლებში იზოლირებულნი არიან, ლონდონის „ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო კი ბრწყინვალე ჟესტით გამოირჩა.

ბრიტანული მედიის ცნობით, „განსაკუთრებული“ პორტუგალიელი ადგილობრივ მოხალისეებს შეუერთდა და გუშინ მოხუცებს საჭმელი და სხვადასხვა საჭირო ნივთები სახლებში მიუტანა.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის ნისლიან ალბიონზე კორონავირუსის 6.650 შემთხვევა გამოვლინდა და 335 ადამიანი გარდაიცვალა.

„მილანის“ ტექნიკურმა დირექტორმა პაოლო მალდინიმ, რომელიც კორონავირუსით დაინფიცირდა, განაცხადა, რომ თავს კარგად გრძნობს. ლეგენდარული იტალიელის განცხადებით, ის და დანიელი ერთ კვირაში გამოჯანმრთელდებიან.

„მადლობა ყველას მესიჯებისთვის, ჩემი და ჩემი შვილის გამხნევებისთვის. ამ ვირუსის დამარცხებას ერთ კვირაში შევძლებთ. მინდა, მადლობა გადავუხადო ექიმებს, ექთნებს, ჯანდაცვის მუშაკებს, სამოქალაქო თავდაცვას, სამართალდამცავებს, რომლებიც ამ საგანგებო მდგომარეობის დროს განსაკუთრებულ პროფესიონალიზმსა და უდიდეს სიმამაცეს ავლენენ“, — თქვა მალდინიმ.

შეგახსენებთ, რომ პაოლო მალდინისა და მის 18 წლის ვაჟს კორონავირუსი 21 მარტს დაუდასტურდათ.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

უპირობო ლიდერი

ესპანური „ბასკონიას“ ქართველი კაპიტანი თორნიკე შენგელია ბრწყინვალე ფორმაშია და ვიტორიელებს მიმდინარე სეზონში უპირობოდ ლიდერობს. ეს არც ევროლიგას გამორჩენია, რომელმაც „ჯვაროსნის“ შესახებ მცირე ვიდეო მოამზადა.

„პლეი-ოფისთვის ბრძოლაში „ბასკონიას“ ლიდერი თორნიკე შენგელია არის ადამიანი, რომლის მხრებზე ბევრია დამოკიდებული. ნახეთ მიმდინარე სეზონში მისი რამდენიმე ეპიზოდი“, — წერს ევროლიგის ტვიტერი.

აქვე გეტყვით, რომ „ბასკონია“ 28 ტურის შემდეგ 12 მოგებით და 16 წაგებით მე-13 ადგილზეა, თუმცა სატურნირო ცხრილში სიმჭიდროვეა და საუკეთესო რვა გუნდში მოხვედრა შეუძლია. ამჟამად ევროლიგა შეჩერებულია და როდის განახლდება, ჯერჯერობით უცნობია.

რაც შეეხება შენგელიას, ქართველი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 30 წუთში 15.9 ქულას, 5.6 მოხსნას, 2.9 პასს, 1 ჩაჭრასა და 0.5 დაფარებას აგროვებს, ხოლო მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18.5-ს უტოლდება.

ვიტალი ჯაფარიძე



◎ რჩეული

გორგოძე სიმბოლურშია

სარაბბო ვებ-გვერდმა Ultimaterugby-მ იმ მოთამაშეთა სიმბოლური XV დაასახელა, რომლებმაც საერთაშორისო კარიერა 2019 წლის მსოფლიო თასის შემდეგ დაასრულეს.

ტრადიციისამებრ, სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა „ბორჯღალოსანი“ მამუკა გორგოძე:

„ის ტურნირამდეც პენსიაზე იყო და პარტნიორებს მისი დასრულებისთანავე დაემშვიდობა. გორგოძე ნაკრებს 2019 წლის მსოფლიო თასზე თანაგუნდელების თხოვნით დაუბრუნდა და საქართველოს ერთ-ერთმა უდიდესმა მორაგბემ საერთაშორისო მატჩების რაოდენობა 75-მდე გაზარდა. მის თამაშებს 2003-იდან 2019 წლამდე ყველა დიდი სიყვარულით იხსენებს. მას განსაკუთრებით კარგი თამაშები 2011 და 2015 წლების მსოფლიო თასებზე ჰქონდა“ — წერია გორგოძის დახასიათებაში.

რჩეული XV ასე გამოიყურება: 15. ბენ სმიტი (ახალი ზელანდია), 14. ჯონ ვან დერ მერვე (კანადა), 13. რაიან კროტი (ახალი ზელანდია), 12. სონი ბილი უილიამსი (ახალი ზელანდია), 11. კენძი ფუკუოკა (იაპონია), 10. კრისტიან ლეალიიფანო (ავსტრალია), 9. უილ გენია (ავსტრალია), 8. ლუის პიკამოლი (საფრანგეთი), 7. დევიდ ფოქოქი (ავსტრალია), 6. ჯონ ბარკლი (შოტლანდია), 5. სებასტიან ვაჰამაჰინა (საფრანგეთი), 4. მამუკა გორგოძე (საქართველო), 3. სეკოპე კეპუ (ავსტრალია), 2. რორი ბესთი (ირლანდია), 1. ტენდაი მტავარირა (სამხრეთ აფრიკა).

კობა კობახიძე

◎ ტოკიო-2020

ჯერ ბჭობენ

ტოკიო-2020-ის ცნობით, შემდგომი ოთხი კვირის განმავლობაში, როდესაც ოლიმპიური თამაშების შესაძლო გადავადების სცენარი იქნება განხილული, პარტნიორები ისე უნდა გაერთიანდნენ, როგორც არასდროს.

ტოკიო-2020-ის განცხადება მოჰყვა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) გუშინდელ პოზიციას, რომლის თანახმადაც კორონავირუსის პანდემიის გათვალისწინებით, ტოკიო-2020-თან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის. ამ საკითხთან დაკავშირებით შემდგომ ოთხ კვირაში ჩამოვყალიბდებით.



ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების გაუქმება დღის წესრიგში არ დგას.

ახლა ჩვენი ფიქრებით მათთან ვართ, ვისაც კრიზისი შეეხო. ჩვენთვის კვლავაც უმთავრესია ათლეტთა, მაყურებელთა და თამაშების სხვა მონაწილეთა უსაფრთხოება.

როგორც პრეზიდენტმა თომას ბახმა აღნიშნა, ვისურვოთ, რომ გვირაბის ბოლოს ოლიმპიური ცეცხლი იქნება ის შუქი, რომელსაც ვიხილავთ. ამიტომაც ყველაფერს ვიღონებთ, რომ თამაშების ჩასატარებლად ამ გამოწვევას გავუმკლავდეთ“, — ვგებულობთ ტოკიო-2020-ის ოფიციალური განცხადებიდან.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

გრძნობათა იმპერია



„რეალის“ თავდამსხმელმა ლუკა იოვიჩმა თვითიზოლაცია დაარღვია, მადრიდიდან ფეხი პირდაპირ სამშობლოში დაჰკრა და ადგილობრივი ხელისუფლება გააბრაზა.

არადა, ლუკას მეტისმეტად საპატიო მიზეზი ჰქონდა — შეყვარებულის დაბადების დღე. სერბი ფეხბურთელის გულისწორია მშვენიერი სოფია მილოშევიჩი, ვის გამოც ლუკამ ცდუნებას ვერ გაუძლო. ახლა „რეალის“ ვარსკვლავს, როგორც ჩანს, პოპულარობა და სახელი ვერ უშველის და სამშობლოშიც თუ დაარღვევს კარანტინს, დაპატიმრება ემუქრება.

როგორც ჩანს, ლუკას სოფიას გამო ნებისმიერ რისკზე წასვლა ულირს. რა გასაკვირია, მილოშევიჩის სილამაზემ როგორც ჩანს, იოვიჩს ყველაფერი დანარჩენი დაავიწყა და ფოტოთი თავადაც დარწმუნდებით 29 წლის მოდელის მშვენიერებაში.

მანუჩარ გიორგაძე

საქართველოს უმსხვილესი ნავთობკომპანიები სრულ მზადყოფნაში ხვდებიან მსოფლიოს დღევანდელ უმთავრეს გამოწვევას

„საქართველოს ბიზნეს ასოციაციის წევრი, ქვეყნის უმსხვილესი ნავთობკომპანიები სრულად ახორციელებენ საკოორდინაციო საბჭოს მითითებებს და იმავდროულად ყოველდღიურად, დაუღალავად და პირუთვნელად დგანან თითოეული მოქალაქის სამსახურში“, — საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ინფორმაციით, ამის შესახებ ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის კომიტეტის ხელმძღვანელმა შავლეგ მიშველაძემ განაცხადა.

„სოციალური პასუხისმგებლობა და მაღალი სამოქალაქო შეგნება უკვე წლებია ბრენდული ნავთობკომპანიების ყოველდღიურობის განუყოფელ ნაწილად იქცა. ასე იყო ქვეყნისათვის ყველა რთულ ეტაპზე — ასეა ახლაც! განსხვავებაა ისაა, რომ დღეს სერვისთან, უსაფრთხოებასთან და ხარისხთან ერთად, უპირველეს სიბრტყეზე მომხმარებლის — თითოეული ჩვენგანის ჯანმრთელობამ გადმოიწია. უმოკლეს ვადებში, მცირე შეფერხებებისა და ლოგისტიკური სირთულეების დაძლევის შემდეგ ბრენდული გასამართი სადგურები ადაპტირდა COVID-19-საგან თავდასაცავი პირველადი საშუალებებით. მთელი საქართველოს მასშტაბით გასამართ სადგურებზე განთავსდა სადეზინფექციო სითხეები, პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებები, ხელთათმანები. პერსონალს დამატებით განემარტა თავდაცვის თითოეული საშუალების მნიშვნელობა. სამარშრუტო ტაქსებით გადაადგილების შეზღუდვის პირობებში, მომხმარებლების უსაფრთხო კომფორტის უზრუნველსაყოფად, ბრენდული ნავთობკომპანიები საჭიროების შემთხვევაში ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ გასამართი სადგურების თანამშრომელთა ტრანსპორტირებას, როგორც ავტომაგისტრალების მიმდებარე ობიექტებზე, ისე სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში. შეფერხების გარეშე მიმდინარეობს ნავთობპროდუქტების იმპორტი, შიდა ლოგისტიკური გადანაწილება და მიწოდება გასამართ სადგურებამდე. მომწოდებელი ქარხნების ქვეყნებში მოვლენების შესაძლო განვითარების მიხედვით დამუშავებულია ნავთობპროდუქტების მოწოდების ალტერნატიული მარშრუტები,“ — განაცხადა შავლეგ მიშველაძემ.

სანთელი

შალვა მგალობლიშვილი, თენგიზ ქოიავა, ვახტანგ ვეფხვაძე, ოთარ ბრეგაძე, ივა ბერაძე თანაუგრძნობენ ბატონ რეზო ამაშუკელს ძმის

ზურაბ ამაშუკელის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს გამოჩენილ ქართველ პოეტს რეზო ამაშუკელს ძვირფასი ძმის, შესანიშნავი მამულიშვილის

ზურაბ ამაშუკელის

გარდაცვალების გამო.

პოლიციას წინააღმდეგობას უწევდნენ

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარნეულში 2 პირი პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავა, — ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

შს სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი — 1996 წელს დაბადებული ბ.ბ. და 1999 წელს დაბადებული გ.ხ. დააკავეს. მათ ბრალი პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობაში, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლასა და სამართალდამცველთა საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით ჩადენილ ძალადობაში ედებათ. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 23 მარტს მარნეულში, პოლიციელებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლის მიზნით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ტექინსპექტირების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები გადავადდება

შევთანხმდით, რომ ამ ეტაპზე მოქალაქეებს ტექინსპექტირების დარღვევისთვის გათვალისწინებული ჯარიმები არ დაეკისრებათ და ისინი გადავადებულია. ამასთან, ეს წესი იმოქმედებს მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, — განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე.

მინისტრის ინფორმაციით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გრძელდება და მასთან დაკავშირებული მომსახურება საგანგებო პირობებით შეზღუდული ეკონომიკური საქმიანობის ნუსხაში არ შედის.

ნათია თურნავას თქმით, აღნიშნული მომსახურება გრძელდება, თუმცა ტესტირების ცენტრებში საქმიანობა ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების მკაცრი დაცვით უნდა განხორციელდეს.

სამშენებლო სექტორის ახალი გამოწვევები

დეველოპერების ნაწილი მშენებლობებს აჩერებს

ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის ამოქმედების მიუხედავად, ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი ნაწილი შეუფერხებლად გრძელდება. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქვეყანაში ინფრასტრუქტურული პროექტების და მშენებლობების განხორციელება ნებადართულია. მათი ინფორმაციით, ამ მიმართულებებზე განსაკუთრებული ამკრძალავი ნორმების დაწესება გათვალისწინებული არ არის.

„კომერსანტი“ დაინტერესდა ქვეყანაში არსებული რთული სიტუაციის ფონზე, როგორ აგრძელებს მუშაობას სამშენებლო სექტორი, რა გამოწვევების წინაშე დგანან ისინი და ხომ არ შეექმნათ სამშენებლო მასალების დეფიციტი.

სანამ ქვეყანაში კორონავირუსი გავრცელდებოდა დეველოპერული კომპანია „ჯიდიჯი ჯგუფი“ 5 სასტუმროს მშენებლობას ახორციელებდა. პროექტებში დაახლოებით 18 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩაიდო. კომპანიის დამფუძნებელი **ბეჟან წაქაძე** აცხადებს, რომ სამშენებლო მასალებთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი პრობლემა არ შექმნია, თუმცა, ეკონომიკური პრობლემების გამო დაწყებული სასტუმროების მშენებლობას ბოლომდე ვერ მიიყვანს.

„გუშინ არმატურა, ცემენტი და ბლოკი უპრობლემოდ გადავაგზავნე ქუთაისში, ბეტონის ჩასხმაზე უარი მითხრეს, მაგრამ დღეს ჩვეულებრივად მუშაობენ. ჩემს მომწოდებლებს პრობლემებზე არაფერი უთქვამთ. ერთი სასტუმროს მშენებლობა დასრულების სტადიაშია, რემონტისთვის ყველაფერი „დომინოდან“ მომაქვს, მაგალითად, გუშინ რბილი იატაკი მომიტანეს. მეორე მშენებლობა, რომელიც ყიფიანის ქუჩაზეა, გავაჩერე, პროექტი რემონტის ეტაპამდე მივიყვანეთ, თუმცა დროები უნდა გავაჩერო, რადგან მას სხვანაირი პირობები სჭირდება. ასევე ორი სასტუმრო გამზადებული გვაქვს გახსნისთვის, ერთი „brose garden“, დეკემბერში გავხსენი და ახლა უკვე დაკეტილია. მეორე სასტუმრო აპრილში უნდა გამეხსნა, მაშინ, როდესაც ტურისტული სეზონი იწყებოდა, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ამ დროისთვის მზად ყოფილიყო, ახლა ავეჯს ველოდებოდი, სახელიც მოფიქრებული გვქონდა — „მთაწმინდა გალერი“ უნდა დარქმეოდა, მაგრამ ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გეგმები შეგვიცვალა. როდესაც ეს ორი სასტუმრო გაიხსნება, დარჩენილ მშენებლობებს მხოლოდ ამ შემთხვევაში გავაგრძლებ. აშენებული სასტუმროები თუ ვერ გავხსენი, რა აზრი აქვს მშენებლობების გაგრძელებას? 2 სასტუმროს ზარალი თვეში დაახლოებით 150 მლნ დოლარია, რთულია ასეთ პირობებში მუშაობა“, — განაცხადა ბეჟან წაქაძემ.

მუშაობას შეუფერხებლად აგრძელებს დეველოპერული „კომპანია არქი“. როგორც „კომერსანტს“ კომპანიაში განუცხადეს **„არქის“** სამშენებლო სამუშაოებს კონტრაქტორი კომპანიები ახორციელებენ, მათ კი რაიმე სახის პრობლემების შესახებ „არქისთვის“ არ მიუმართავთ.

„ამ ეტაპზე ყველა პროექტის მშენებლობა ინტენსიურ რეჟიმში, შეფერხებების გარეშე მიმდინარეობს, სანამ არ აგვიკრძალავენ, ჩვენ მუშაობას ვაგრძელებთ. ბუნებრივია, სანიტარიულ ზომებს ვიცავთ და მოვთხოვეთ ყველა კონტრაქტორს, რომ მაქსიმალურად ყველაფერი დაცული იყოს, სრული აღჭურვილობა ჰქონდეს ყველა თანამშრომელს“, — აცხადებენ „არქიში“.

სამშენებლო მასალების კუთხით პრობლემები არ შექმნია არც პრემიუმ კლასის სამშენებლო კომპანია **„ორიონ ჯგუფს“**. კომპანიას ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი მიმდინარე მშენებლობა აქვს, როგორც კომპანიის მარკეტინგის დირექტორი **ირაკლი ნიჟარაძე** აცხადებს, საცხოვრებელ კომპლექსში სამშენებლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს.

„არანაირი დეფიციტი არც მასალის და არც მუშახელის არ გვაქვს, დღევანდელი მდგომარეობით ყველაფერი რიგზეა. ერთი ორი ადამიანი ვერ მოდის უბრალოდ იმიტომ, რომ ტრანსპორტირების პრობლემა აქვს, თორე სხვა კუთხით არანაირი შეფერხება არ გვაქვს. სამშენებლო მასალის მარაგი გვქონდა, ახლაც გვაქვს და ყველა მომწოდებელი მზადაა, როდესაც ვეტყვით მასალა მოგვაწოდოს. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა გაყიდვებს შეეტყობა, თუმცა მომხმარებლის ზარები ყოველდღიურად შემოდის, ოფისში არ მოდიან პირადად, რომ ნახონ ბინები, მაგრამ დისტანციური ურთიერთობა ახალ მომხმარებლებთან ყოველდღე გვაქვს“, — აცხადებს ირაკლი ნიჟარაძე.

ორი აქტიური მშენებლობა დროებით შეაჩერა სამშენებლო კომპანია **„ივერონმა“**. კომპანიის დამფუძნებელი **არჩილ ჯაყელი** აცხადებს, რომ, მუშაობას მას შემდეგ განაახლებენ, რაც კორონავირუსის გავრცელების საფრთხე გადაივლის.

ბაჩო ადამია

უფლის წყალობა იცავდეს საქართველოსა და მთელს კაცობრიობას!

ძვირფასო მეგობრებო, მსურს, გამოვეხმაურო უახლოეს საათებში, სოციალურ ქსელებში ჩემს მიმართ არასწორი ინფორმაციების გავრცელებას.

მოგახსენებთ,რომ გადაუდებელი აუცილებლობის გამო და კერძოდ დედაჩემის ჯანმრთელობის გაუარესების დიდი რისკის გამო (დედა 90 წლის გახლავთ) მომიწია, ყველანაირი დიპლომატიური პროტოკოლის წესის დაცვით, იტალიიდან დროებით საქართველოში გამომგზავრება.

საქართველოში შემოსვლის დროს, საზღვარზე გავიარე დადგენილი შემოწმება და რეგულაციების თანახმად ვიმყოფები თვითიზოლაციაში და საბედნიეროდ, ავადმყოფობის არანაირი სიმპტომები არ გამაჩნია.

ჩემი საქართველოში შემოსვლისთანავე დავრეკე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზზე (მსურველებს შეუძლიათ, გადაამოწმონ) და მათგან მივიღე შესაბამისი რეკომენდაციები.

სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ქვეყანაში კეთილი ადამიანების გარდა არსებობენ პიროვნებები, რომლებიც არსებული მძიმე მდგომარეობის მიუხედავად ავრცელებენ არასწორ და მავნებლურ ინფორმაციას. ამით ჩვენს ქვეყანას აგდებენ უფრო რთულ და პანიკურ სიტუაციაში, რაც, ჩემი აზრით, ძალზე საშიშია.

არ დაუჯეროთ ასეთ „ფეიქ“ ინფორმაციებს.

აქვე მსურს, გითხრათ, რომ ძალზე შეწუხებული ვარ, რომ ამ კრიზისული სიტუაციის დროს მომიწია ჩემი კოლეგებისა და თანამშრომლების დატოვება იტალიაში. ქედს ვუხრი ყველა მათგანს, მათი პროფესიონალიზმისთვის, ქვეყნისა და საქმის ერთგულებისათვის.

კიდევ ერთხელ მსურს, მადლიერების გრძნობა გამოვხატო ჩემი მეგობრებისა და საქართველოს ყველა მოქალაქის მიმართ, ვინც მართლა ალალად განიცდის არა მარტო ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, არამედ მთელს სამყაროში არსებულ მძიმე მდგომარეობას. იცავს რეგულაციებსა და არ არღვევს კანონს.

უფლის წყალობა იცავდეს საქართველოსა და მთელს კაცობრიობას.

დავით გომართელი
20.03. 2020

დათო გომართელის ეს ფეისბუქკომენტარი ალბათ უამრავმა ადამიანმა წაიკითხა, დათოს შემოქმედების თაყვანისმცემლებმაც და იმ ჭორებს აყოლილებმაც, რომლებიც „ფეიქნიუსებით“ საზრდოობენ და ასე ატარებენ თავიანთ უაზრო ცხოვრებას. ჩვენ ყველაზე გვიან წავიკითხეთ, რადგან არც საჭიროებდა წაკითხვას ჩვენი მეგობრის გულიდან ამონათქვამი, ისედაც ვიცით მისი ვაჟკაცობისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ვიცით და შესაძლოა მევრზე მეტადაც. ამ წერილს მხოლოდ იმიტომ ვაქვეყნებთ, რომ მევრმა ურწმუნო თომამაც წაიკითხოს, მევრმა იმ ვაჟკაცმაც, რომლებიც ჩვენს გაზეთს დათოს მამის, თბილისის კოლორიტის, ჩვენი გაზეთის თანამშრომლის გურამ (კოია) გომართელის გამო კითხულობდა.

კოია გომართელის ოჯახში გაზრდილ კაცს კაცობაში არაფერი ეშლება და არც შეეშლება.

დათო, ზოგიერთივით დროს სატარებლად და ევროპის „მოსანახულებლად“ არ ჩასულა იტალიაში. თავადაც იცით, რომ იგი კარგა ხანია, საელჩოში მუშაობს. მოკლედ, დათო გომართელი დათო გომართელია!

ჩვენ კი დათოს მეგობრები და „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ ქალბატონ დოდოს, უსათნოეს და უკეთილშობილეს ადამიანს, როინაშვილების გვარის ღირსეულ წარმომადგენელს, ჩვენი დათოსა და ცნობილი ჟურნალისტის ზაზა გომართელის დედიკოს, 90 წლის ბედნიერ ბებიას და ვაჟკაცი კაცის ქვრივს.

დარჩით სახლში!

კორონავირუსის შეჩერების მიზნით, ჰოლივუდის მსახიობები რობერტ დე ნირო, დენი დე ვიტო და ბენ სტილერი ახალგაზრდებს სახლში დარჩენისკენ მოუწოდებენ. ვიდეომიმართვაში, რომელსაც მსახიობები ავრცელებენ, აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ამ გზით არის ვირუსის შეჩერება და „COVID 19“-სგან მოხუცების დაცვა.

„არა მხოლოდ საკუთარი თავები, არამედ ის მოხუცი ადამიანებიც უნდა დაიცვათ, რომლებიც გიყვართ“, — აღნიშნა რობერტ დე ნირომ ვიდეომიმართვაში. მიმართვაში დენი დე ვიტო ამბობს, რომ ახალგაზრდები, რომლებიც ვირუსით ინფიცირდებიან, შემდეგ ვირუსს მოხუცებს გადასცემენ, რომელთათვისაც ის რიგ შემთხვევებში ფატალურად სრულდება. ბენ სტილერი კი ახალგაზრდებს მოუწოდებს, სახლში ყოფნა წიგნის კითხვაში, ფილმების ყურებაში ან ახალი ჰობის გაჩენაში გამოიყენონ.

დინოზავრებს კორონავირუსის არ ეშინიათ

მიუხედავად მკაცრი საიზოლაციო და საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებისა, ხალხი მაინც პოულობს ევროპაში სხვადასხვა ხერხს, რომლის საშუალებითაც შეიძლება საცხოვრებელი ზონების დატოვება. ქალაქი მურსიას პოლიციამ ტვიტერის სოციალურ ქსელზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც ასახულია დინოზავრის ფორმაში გამოწყობილი ერთ-ერთი მაცხოვრებელი, რომელიც „ამ ფორმით იცავს თავს დაინფიცირებისგან“ და ქუჩაში გადაადგილდება. ტვიტერზე გამოქვეყნებულ ვიდეოში ჩანს, რომ მიმდინარეობს დიალოგი პოლიციის ოფიცერსა და ფეხით მოსიარულე დინოზავრის ფორმაში ჩაცმულ მამაკაცს შორის. რამდენიმეწამიანი ინტერაქციის შემდეგ, იგი ტოვებს ტერიტორიას და ტროტუარზე გადადის.

იმავე დინოზავრის სპეცფორმაში გამოწყობილი აღნიშნული მამაკაცის მეორე ვიდეოც გავრცელდა ინტერნეტში, სადაც ჩანს, თუ როგორ აგდებს იგი ურნაში ნაგავს.

ლოთი სპილოები

ჩინეთის დასავლეთ ნაწილში, იუნანის პროვინციაში, სპილოებმა ერთ-ერთ სოფელში 30 ლიტრი სიმინდის ღვინო დალიეს.

სპილოები საკვებს ეძებდნენ, როდესაც ერთ-ერთი ადგილობრივის ეზოში სიმინდის ღვინო აღმოაჩინეს.

სოფლის მცხოვრებლის ლი ბას განცხადებით, მთვრალ სპილოებს ჩაის პლანტაციაში ჩაეძინათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოთულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2389; ევრო - 3.4578;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7526;
100 რუბლი - 4.0193; თურქული ლირა - 0.4907;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9125;
1000 სომხური დრამი - 6.5565.

ამინდი 25 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+5,	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+3	დღე	+18
თბილისი:	ღამე	+10,	დღე	+17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge